

ახალი ბუნათელეს

12 - 18 ოქტომბერი 2017

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№29 (783) გაბოლის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



**„სულოვანი
უიგური“ –
მსოფლიოს
გაქვეთილები
გლობალური
კროზლემის
წინააღმდეგ**

გვერდი 9

"მინდა, მსოფლიომ გაიგოს ქართველი მასწავლებლის სიტყვა. მე ნამდვილად ვეყვი მსოფლიოს ჩემს სათქმელს და ეს იქნება თქვენი სიტყვაც."



**3
გვ. საერთაშორისო კონფერენცია
წლის უნივერსალოვანესი მოვლენა**

**4
გვ. სტუდენტური კვლევა
რა იცინავს ქართველებს სტუდენტებად
სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ**

**5
გვ. გაბოვანა-კონკურსი
გერმანული ენის მასწავლებლები
– მსოფლიოში ყველაზე კარბი ელჩები**

**8
გვ. ქართული სტუდენტები უსსრ-ში**



რუსიკის სტუმარია
არჩილ ჭიჭიანი
პარლამენტის უნივერსიტეტის
კურსდამთავრებული

ბავშვობიდან ვხედავდი, რომ ქვეყანაში დიდი პირობები იყო, რომელიც გადაჭრად ჩემს მიზნად და პიხად გამოწვევად მიმაჩნდა. ვიცოდი, ამისთვის ქაზი განათლება დამჭიხებოდა. სკოლაში სწავლისას, „ჰაჯაჰი“ მხოლოდ ენოში მქონდა გაგონილი. იმ დღის, ეთადეხი, ხაც მასთან მკავშირება, იყო დიდი ოცნება.




გამოცემლობა „ინტელექტი“ და გამოცემლობა „არტანუჯი“ წარმოგიდგენთ



პანანა ბრეზავაძე
„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ვერსია
ფასი - 16 ლარი
ფორმატი - A5
გვერდები - 332

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პროზაული ვერსია მკითხველისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ეს საქმე გამოჩენილმა მთარგმნელმა და მოღვაწემ, პანანა ბრეზავაძემ ითავა. მან ორიგინალური ფორმით დაგვანახა უკვდავი პოემა. პანანა ბრეზავაძის პროზაული ვერსია „ვეფხისტყაოსნის“ ახლებურად გააზრების საშუალება იძლევა.



აკაკი ბაქრაძე - სკოლას
ფასი - 14 ლარი
ფორმატი - A5
გვერდები - 460

აკაკი ბაქრაძის ლიტერატურული წერილები მისადაგებულია სკოლაში ამჟამად მოქმედ პროგრამას. ავტორი სხვადასხვა ეპოქის მწერლებსა და მათ ნაწარმოებებსა სუბრობს სადაც, სიღრმისეულად, ყველა თაობის მკითხველისთვის განსაზღვრავს. წიგნი განკუთვნილია უფროსკლასელებისა და მასწავლებლებისთვის.



გავიგორთ მათემატიკა
ფასი - 19 ლარი (ერთი ცალი)
ფორმატი - A4

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზე აბაზული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გამომტრის, ანალიზის, ალგორითმისა და სტატისტიკის საკითხები.



ელიზბარ ელიზბარაშვილი
ქიმიის ყველა სახის
ფასი - 13 ლარი
ფორმატი - A5
გვერდები - 190

ელიზბარ ელიზბარაშვილის წიგნი „ქიმიის ყველა სახის“ მოიცავს სამეცნიერო-პოპულარულ სტატიებსა და ესაუბრება ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმიის კანონებსა და საკითხებს. მასში ნაჩვენებია არაერთი ყოფილი მოვლენის მჭიდრო კავშირი ქიმიასთან. ქიმიური საკითხების გადმოცემის ამგვარი ფორმა მიზანდასახულია ქიმიის ღაბრის პოპულარიზაციის ფართო მკითხველისთვის. ვიდეოებთან, რომ წიგნი ერთნაირად სანიტარულ იქნება როგორც ქიმიით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.



გიორგი მუჭურაშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია
ეროვნული გამოცდავის სიმულაციის ისტორიები
ფასი - 15 ლარი
ფორმატი - A4

ყოველწლიურად, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, მეთექვსმეტე, 12 000 აბიტურიენტმა მთლიანად იტოვოს ისტორიის მთავარი მხარე 5% ახერხებს ქულათა 90%-ზე მეტს მიღებას (61-70 ქულა). ამ წიგნის მიზანია, დაეხმაროს აბიტურიენტს შედეგების გაუმჯობესებაში. მისცეს მას საშუალება, გადაამოწმოს საკუთარი ცოდნა და უნარები. ეროვნული გამოცდავის სრული სტანდარტის დაცვით შედეგები ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდავის სიმულაცია, ანუ შეაქოს სრულად იმ ტიპის და სირთულის დავალებების გაკეთება, რომლის მსგავსი შედეგებიც მოუხვევს უშუალოდ ეროვნულ გამოცდაზე.



სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ეროვნული გამოცდავისთვის მოსამზადებლად, არამედ საგაკვეთილო პროცესის კონკრეტული ისტორიული ეპოქის განსაზღვრებლად.

ინფორმაცია

შეხვედრა პანკისელ ახალგაზრდებთან



7 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (დირექტორი - გიორგი კეკელიძე) გაიმართა შეხვედრა პანკისელ ახალგაზრდებთან. შეხვედრა გახსნეს დემოკრატიის ლაბორატორიის თავჯდომარემ, ქეთევან ბოჯგუამ და სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, რევაზ ჯაველიძემ.

პროექტის „მე, აქტიური მოქალაქე“ ფარგლებში, 2 თვის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და დემოკრატიის ლაბორატორიის წარმომადგენლები პანკისის ხეობის საჯარო სკოლებს (ომალაში, დამასტურში, დუისში, ჯოყოლასა და ბირკიანში) სტუმრობდნენ, სკოლების ბიბლიოთეკებს თანამედროვე ლიტერატურით ანახლებდნენ და, ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემებისა და საჭიროებების გამოსავლებად, დისკუსიებს მართავდნენ. პროექტის მონაწილე 120 მოსწავლე, შედეგების შესაჯავებლად, 7 ოქტომბერს, თბილისში შეიკრიბა.

ლონისძიებში მონაწილეობდნენ: ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაცია - ორბელიანი საქართველო, HR Hub, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექციის აპარატი და სხვა მონაწილე სტუმრები. შეხვედრის ფარგლებში, გამოიკვეთა არაერთი საკითხი, რომელსაც პანკისში მცხოვრები სკოლის მოსწავლეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, მათ შორის ერთ-ერთი მთავარი

რი ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ისეთი სივრცის შექმნაა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, სკოლის შემდეგ შეიკრიბონ, ნაიკითხონ წიგნები, უყურონ ფილმებს ან უბრალოდ იმსჯელონ სხვადასხვა საკითხზე. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად პანკისის ხეობასთან დაკავშირებული სტერეოტიპების არსებობა დასახელდა.

პროექტი „მე, აქტიური მოქალაქე“ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობითა და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის (პრეზიდენტი - ირაკლი ჟორჯოლიანი) ფინანსური მხარდაჭერით ტარდება, მისი მიზანია პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის განათლების გაუმჯობესების ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება, ღია დისკუსიების წახალისება და მოტივაციის გაზრდა სამომავლო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით.

პანკისელ მოსწავლეთა თხოვნით, შეხვედრაზე მონაწილე იყვნენ: ჟურნალისტი ნანუკა ჟორჯოლიანი, ფეხბურთელი დავით მუჯირი და იურისტი დიმიტრი გეგენავა. განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია შეხვედრამ ნანუკა ჟორჯოლიანთან, რომელთანაც ბავშვებს არაფრით არ უნდოდათ განშორება. ნანუკამ გაიხსენა, რომ პანკისში რამდენჯერმე იმყოფებოდა და კიდევ ესტუმრება მათ. ერთ-ერთ მოსწავლეს, რომელმაც პანკისში ბიზნესის განვითარებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა, ნანუკამ პრაქტიკული რჩევები გაუზიარა და დაჰპირდა, რომ მიიწვევდა სტუდიაში და მის წამოწყებას გააპირებდა, რამაც მხურვალე ოვაციები გამოიწვია დარბაზში.

დასასრულს ყველა მონაწილეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და პროექტის მონაწილის სერტიფიკატი.

თბილისი - 2017

სკოლის მოსწავლეთა სრული ტრიუმფით დამთავრდა კონკურსი „თბილისი - 2017“. კატეგორიაში - „წლის საუკეთესო ფერწერული ნამუშევარი“ **ლიზი ბუდალაშვილის** ნამუშევარი „ნოსტალგია“ ფინალისტი გახდა, რითვისაც ის დიპლომით დაჯილდოვდა. ამასობაში, ლიზიმ მოახსრო საკუთარი კომპოზიციების კრებულის გამოშვება, ქართულ-ამერიკული სკოლის ოქროს მედალზე დამთავრება, ნიჭიერა ათწლედის წარმატებით დამთავრება და დილოჟანის სახელოვნებო სკოლაში UWC



(United World College) ჩაბარება. ლიზი იქ, 450 მსურველიდან, 7 გამარჯვებულს შორის მოხვდა და სრული დაფინანსება - 70000\$ მიიღო. პარალელურად, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტზე 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა. რამდენიმე დღის წინ, მეგობრებთან ერთად, კავკასიური კულტურის საღამო მოაწყო და ქართული დროშა ააფრიალა დილოჟანის სახელოვნებო სკოლაში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ლიზი ესეების კონკურსის გამარჯვებული იყო.

სალომე ბენდელიანი - ესეების კონკურსის გამარჯვებული, წელს აგრარულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა.

სანდრო ნებეირიძე - მისმა საფორტეპიანო ტრიომ „ელემენტები“ წლის საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოების (სიმღერის) პრიზი დაიმსახურა. სანდრო ბენდელიანი თვლის თავს, რომ ჰყავს არაჩვეულებრივი მეგობრები, ტრიოს წევრები - ანა ჭანია და სანდრო სიდამონიძე, მრავალი კონკურსის გამარჯვებულნი. მათმა უნაკლო შესრულებამ განაპირობა სანდროს წარმატება. ასევე, ძალიან ემადლიერება თავის მასწავლებლებს - კომპოზიტორ მაკა ვირსალაძეს და პროფესორ ლალი სანიკიძეს, რომლებმაც სრულყვეს მისი საშემსრულებლო ხელოვნება. მიუხედავად ნორჩი ასაკისა, ეს სანდროს პირველი გამარჯვება არ არის - მის აქტიურობა ოპერა, საფორტეპიანო კონცერტი და სხვა ფორმის მრავალი კომპოზიცია. როგორც პიანისტი, მრავალი გრან-პრის მფლობელია. ახლაც ის პსკოვში იმყოფება გასტროლებზე, სადაც გამოენილმა მუსიკოსმა დენის მაცუევამ მიიწვია, შემდეგი კონცერტი მოსკოვში აქვს, ამიტომ ვერ დაესწრო დაჯილდოებას, და პრიზი სანდროს მამას, ბატონ ლევან სიდამონიძეს გადაეცა.

სტუდენტური კვლევა

რა იციან ქართველმა სტუდენტებმა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ

ანა ფირცხალაიშვილი

2016 წლის ოქტომბერში დაიწყო სამწლიანი საერთაშორისო პროექტის – „კურიკულუმის რეფორმა დემოკრატიისა და სამოქალაქო განათლების გაძლიერებისთვის საქართველოსა და ისრაელში“ – განხორციელება. პროექტში მონაწილეობენ: საქართველოს, ისრაელის, ავსტრიის, ესტონეთის, შვეიცარიის, დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის უნივერსიტეტები. საქართველოში პროექტს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი ახორციელებს, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან ახალგაზრდებში სამოქალაქო განათლების განვითარების კუთხით. ამჯერად პროექტის მონაწილეები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმისა და ახალციხის სახელმწიფო და ქუთაისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტები.

6 ოქტომბერს, ილიაუნში, სტუდენტებმა (შალვა ჩხეიძე, ლიკა ზაალიშვილი, ლაშა მაჭარაშვილი, ანა ბეჟანიშვილი) საზოგადოებას ჩაუვარდინეს უნივერსიტეტში ჩატარებული კვლევის ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავდა სტუდენტების ცოდნისა და დამოკიდებულებების გარკვევას სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით. მკვლევრებმა და რესპონდენტებმა მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები იყვნენ. ამიტომ იგი ვერ ჩაითვლება პრეზენტაციულად, თუნდაც იმიტომ, რომ ძალზე მცირე პროცენტის აზრს გამოხატავს, მაგრამ საკითხის კვლევის პირველი მცდელობაა და კარგი გამოცდილება მომავალი კვლევებისთვის. პრეზენტატორმა, ილიაუნის მაგისტრატურის III კურსის სტუდენტმა, შალვა ჩხეიძემ აღნიშნა კიდევ, რომ, სამსუხაროდ, უნივერსიტეტები დღემდე ვერ სთავაზობენ სტუდენტებს კვლევითი უნარ-ჩვევების განმავითარებელ პირობებს, არადა უმაღლესი განათლების უპირველესი დანიშნულება სწორედ ესაა. „ეს იყო ჩემი პირველი შეხება კვლევასთან, ამდენად, ერთგვარ გამოწვევადაც შეიძლება ჩაითვალოს. პირველი, რაც დასაწყისშივე აღმოვაჩინეთ, ის იყო, რომ საქართველოში ამ თემაზე არც ერთი კვლევა არ ჩატარებულა, ქართულ ენაზე „სამოქალაქო აქტივიზმის“ განმარტებაც კი ვერ ვიპოვეთ. როცა ინტერნეტით უცხოურ (ევროპულ და ამერიკულ) გამოცდილებას ვაკვირებდით, იმდენ საინტერესო და მრავალფეროვან მასალას ნაგავნიდით, რომ თემის აქტუალურობა უფრო მეტად ნათელი გახდა. ჩვენი მიზანი იყო სამი რამის გარკვევა:

- ❖ რა იციან ქართველმა სტუდენტებმა სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ;
- ❖ რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკმისადმი;
- ❖ რა ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობებია უნივერსიტეტებში, რომ სტუდენტები გახდნენ აქტიური სამოქალაქო კუთხით“.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართველ სტუდენტებს ძალზე ზერელე, არასრულყოფილი წარმოდგენა აქვთ სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ. ნაწილისთვის იგი ასოცირდება ადამიანის უფლებების დაცვასთან, ზოგს მიაჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური აქტივობა, ზოგისთვის – ეკოლოგიური საკითხების მოგვარებაში ჩართვა, ხოლო ხანდახან სამოქალაქო აქტივისტები ხდებიან იმიტომ, რომ რაღაცაზე გაბრაზდნენ, მაგალითად ხეების მოჭრა, კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა და ა.შ. უმეტესობას სამოქალაქო აქტივიზმი მაინც პოლიტიკურ ჭრილში ესმის (აქციებში მონაწილეობა, პეტიციებზე ხელმოწერა და ა.შ.) და არა, მაგალითად, კულტურულ თუ შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობა. გამოკითხულთა მხოლოდ 27%-ს მიაჩნია სოციალური პროგრამების ინიცირება სამოქალაქო აქტივობად, მხოლოდ 3%-ს – ეთნიკურ უმცირესობებთან მუშაობა, ისიც ახალციხის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

რაც შეეხება ხელშემწყობ და ხელშემშლელ ფაქტორებს, კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი შეიძლება იყოს სტუდენტური თვითმმართველობა. თუ, მაგალითად, ილიას უნივერსიტეტში მიაჩნიათ, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არის ორგანო, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს სამოქალაქო აქტივობას, თსუ-ში პირიქით, იგი ხელშემშლელ ფაქტორად დასახელდა. „კვლევაში მონაწილეთა პასუხებიდან გამომდინარე, ჩვენი რეკომენდაციაა, შეიცვალოს თვითმმართველობის ფორმა და თანხა, რომელსაც იგი განკარგავს არა გასართობ, არამედ სერიოზულ, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებებზე დაიხარჯოს. თუ მოვახერხებთ, რომ ეს ფული უნივერსიტეტის თავისუფალი ფონდი გახდეს, რომელიც სტუდენტების მიერ ინიცირებულ პროექტებს დააფინანსებს, საგანმანათლებლო თუ სამოქალაქო აქტივიზმის კუთხით, მაშინ თვითმმართველობა რეალურად იქცევა სტუდენტური სამოქალაქო აქტივიზმის ხელშემწყობ ფაქტორად“ – აღნიშნა შალვა ჩხეიძემ. ითქვა უცხოური გამოცდილების შესახებაც, რომლის საქართველოს უნივერსიტეტებში დანერგვა საჭიროდ მიაჩნიათ პროექტის მონაწილეებს – ეს სტუდენტთა მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის კრედიტულებად ჩათვლას ეხება. მრავალთავან ორი



მაგალითის დასახელებაც საკმარისია. ერთი ისრაელს ეხება. ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაგისტრანტი, რომელიც სპეციალურად უნდა გახდეს, საკუთარი სურვილით დადის სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთან სახლში, ღამეც რჩება და, უანგაროდ, ყოველმხრივ ეხმარება მას. უნივერსიტეტი აფასებს მის საქმიანობას, რაც კრედიტულებში გამოიხატება; მეორე მაგალითად ინგლისის დასახელდა. ზოგადად, ევროპული უნივერსიტეტები ძალიან საინტერესო პროგრამებს ასორციელებენ სტუდენტების ჩართულობით. თუ, მაგალითად, ლივერპულის უნივერსიტეტში სათემო პრობლემების გადაჭრა მნიშვნელოვანია, საქართველოს არც ერთ უნივერსიტეტში მსგავსი პრეცედენტიც კი არ არსებობს; ინგლისის ბევრ უნივერსიტეტში მოხალისური საქმიანობით შეიძლება კრედიტის დაგროვება, საქართველოში – არც ერთში. იმავე ლივერპულში, ქალაქის განვითარების გეგმის დაწერაში ძალიან წარმომადგენლობითია პროფესორებისა და სტუდენტების როლი. მსგავსი რამ საქართველოში არასოდეს ყოფილა. კარგი იქნება თუ ეს მაგალითები მხოლოდ სასიამოვნო აღმოჩენად არ დარჩება ჩვენს მაგისტრანტებსა და პრეზენტაციის მონაწილეებს.

თამარ მოსაშვილი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის სპეციალისტი, კვლევის ხელმძღვანელი: „მიმდინარეობს კურიკულუმის რეფორმა საქართველოსა და ისრაელში, რომლის ერთ-ერთი თვის შემუშავებაში ჩვენც ვმონაწილეობთ. კერძოდ, სამოქალაქო განათლების ხელშემწყობისთვის მზადდება საერთაშორისო პროგრამები, კურსები. თუ გავითვალისწინებთ იმ ღირებულებებს, რომელსაც ჩვენი ქვეყანა იზიარებს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაძლიერდეს სამოქალაქო აქტივიზმი, კავშირი უნივერსიტეტსა და გარე სამყაროს შორის. ამისთვის ძალიან სასარგებლოა ჩვენთვის უცხოური გამოცდილების შესწავლა და მსჯელობა იმაზე, თუ რომელი მათგანი როგორ მოვარგოთ ჩვენს რეალობას. ამის პირველი მცდელობა იყო ჩვენი ხუთი უნივერსიტეტის განათლების მიმართულების მაგისტრანტი სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის რეცენზიაც პროფესორმა გივი თევზაძემ დაწერა და რომლის გაცნობა დაეხმარება სტუდენტებს მომავალი კვლევების უფრო ხარისხიანად წარმოებაში. ამ ადამიანების მიმართ კარგის მეტი რა მეტყვის. ძალიან კარგი სტუდენტები არიან, განათლებული და აქტიურები, ბევრი რამ აქვთ გააზრებული, მუშაობის პროცესში ხშირად ვუწვევდი ანგარიშს მათ მონაწილეობას. ახლა, როცა გვაქვს კვლევის შედეგები, კონკრეტული მონაცემები, შენიშვნები და

რეკომენდაციები, ერთად უნდა დავვეგმოთ, რა საშუალება ჩასატარებელი სამოქალაქო აქტივიზმის გასააქტიურებლად. შემდეგ პრეზენტაციას თსუ-ს სტუდენტები გამართავენ“.

გიორგი გახელაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი: „მე ამ პროექტში არასამათაბრობო ორგანიზაციის მხრიდან ვმონაწილეობ, როგორც მკვლევარი და ვებმარბი ხუთივე უნივერსიტეტის სტუდენტებს მათი საშუალოს შესრულებაში. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო კურიკულუმის შემუშავებაში, მაგრამ ამას აზრი აქვს მაშინ, როდესაც მთლიანად საუნივერსიტეტო, სალექციო ცხოვრებას აკეზულია ამ პრინციპით და სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, დემოკრატიისა და სამოქალაქო განათლების შესახებ ცოდნა გაავრცელონ სხვადასხვა ჯგუფებში. უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც ეს არის. ამ თვალსაზრისით, ერთად ვცდილობთ ჩამოვყალიბოთ სამოქალაქო აქტივიზმის ეფექტური მოდელი, რომელიც თანამგზავრი იქნება თითოეული უნივერსიტეტისთვის ცოდნის გავრცელებაში, უკვე სხვას სამიზნე ჯგუფებში, არამარტო სტუდენტობაში, არამედ, ზოგადად, სოციალურ გარემოში. კვლევას უძღვებოდნენ განათლების მიმართულების მაგისტრანტები, რომლებსაც სტუდენტური ცხოვრების გამოცდილება აქვთ. დღევანდელი პრეზენტატორი უკვე არის სამოქალაქო აქტივისტი სკოლის შემდგომი ცხოვრებითაც, მას არა ერთი ახალგაზრდული პროექტი აქვს განხორციელებული სხვადასხვა არასამათაბრობო ორგანიზაციასთან ერთად. ხუთივენი მოხალისეობრივად, პროფესიული და პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ჩაერთვნენ კვლევაში და წარმატებითაც გაართვეს თავი ამოცანას“.

პრეზენტაციის შემდეგ სტუდენტებმა დარბაზიდან დასმულ შეკითხვებსაც უპასუხეს, მოისმინეს შენიშვნები, მათ შორის უნივერსიტეტის პროფესორის სიკო ჯანაშიას აზრი და რეკომენდაცია კვლევისა და მისი შედეგის ირგვლივ. ახალგაზრდებმა მადლობა გადაუხადეს კვლევის ხელმძღვანელს, მასში მონაწილე თანატოლებს, პროფესორ-მასწავლებლებს და გულისტკივილით აღნიშნეს, რომ მონაწილეთაგან ძალზე მცირე ნაწილი დაესწრო პრეზენტაციას. დარბაზის სიხალვათე მართლაც თვალმისაცემი იყო, მონაწილეთა მიუხედავად, პრეზენტაციას არც სტუდენტური თვითმმართველობა დასწრებია და არც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია; სამოქალაქო აქტივიზმის დონე რომ დაბალია საქართველოში, ილიაუნის 101-ე აუდიტორიაშიც კარგად იგრძნობოდა.



გამოფენა-კონკურსი



გერმანული ენის მასწავლებლები – მსოფლიოში ყველაზე კარგი ელჩები

მაკა ყიფინაძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის, სოფელ კურსების საჯარო სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ნატო აბესაძის შუამდგომლობით, ქართველი პროფესიონალი მხატვრები და სამხატვრო სტუდიის მოსწავლეები, უკვე 7 წელია, აქტიურად თანამშრომლობენ გერმანიის ქალაქ ერკნერის „ხელოვნების მოყვარულთა კლუბთან“ – Verein „Kunstfreunde Erkner e.V.“ Brandenburg, Bundesrepublik Deutschland. ხელოვნების მოყვარულთა კლუბი/გაერთიანება 20-წლიან ისტორიას ითვლის, დაარსდა 1992 წლის 5 დეკემბერს, ხელოვნების მოყვარული მოქალაქეების მიერ, რომლებიც ქალაქ ერკნერში და მის შემოგარენში ცხოვრობენ. კლუბის მიზანია: წვლილი შეიტანოს ქალაქის და ბრანდენბურგის მხარის კულტურულ ცხოვრებაში; ნახაზ-ხატვის ხელოვნების მოყვარული ახალგაზრდა თაობა; ჩაატაროს საერთაშორისო პლენერები, ექსკურსიები, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიება.

გაერთიანებას მჭიდრო კავშირი აქვს პოლონეთის ქალაქ გოლუხოვოსთან, ასევე, ქუთაისის სამხატვრო კავშირთან. ქალბატონი ნატო, გერმანული ენის სწავლების პარალელურად, 2011 წლიდან, საქართველოს მასშტაბით, ახორციელებს გრძელვადიან ყოველწლიურ განახლებად პროექტს – მისი მედიატორობით, გერმანიაში, ყოველწლიურ გამოფენა-კონკურსში „ახალგაზრდობის ხელოვნების პრიზი“ – „Jugendkunstpreis Erkner“ (JKP) და პლენერზე – „open air painting“ (ხატვა ღია ცის ქვეშ), მონაწილეობენ ხელოვნების მოყვარული ქართველი მოსწავლეები, სტუდენტები და პროფესიონალი მხატვრები. გამოფენა ეწყობა ქალაქ ერკნერის რატუშში (მერია/საკრებულო). „ჩემთვის დიდი პატივია ორ ქვეყანას შორის კულტურული შუამავლის როლის შესრულება. ამ ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ გერმანული ენის მასწავლებლები მსოფლიოში ყველაზე კარგი ელჩები არიან“ – გვითხრა ქალბატონმა ნატომ.

წელს, 20 ივნისიდან 30 ივნისამდე, ქართველი მხატვრები, მესამედ, მიწვეული იყვნენ გერმანიაში საერთაშორისო პლენერზე, ამჯერად 4 ქართველი მხატვარი მონაწილეობდა: ძმები – ზაალ და ზურაბ სულაკაური თბილისიდან და მამა-შვილი – ლევან და შოთა გოგიტაძეები ქუთაისიდან. მხატვრები წელსაც კარგი შედეგებით დაბრუნდნენ, მათი ნამუშევრებით გერმანული პრესაც დაინტერესდა და არაერთი სტატია მიუძღვნა ქართველ ხელოვნებს.

ყოველწლიური კონკურსი „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი“ მოიცავს სახვით ხელოვნებას, ფოტოგამოფენას, მუსიკას და ლიტერატურას. მასში მონაწილეობის უფლება აქვს 14-16 (უმცროსი ასაკობრივი ჯგუფი) და 16-26 წლამდე (უფროსი ასაკობრივი ჯგუფი) ახალგაზრდებს. აღსანიშნავია, რომ წლებიდან დღემდე გამოფენა-კონკურსზე „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი – ერკნერი-2017“ სამი ცნობილი სამხატვრო სტუდიის (ზაალ სულაკაურის, ზურაბ სულაკაურის, ლევან გოგიტაძის) 40-მდე ქართველი მოსწავლის 100-მდე ნამუშევარია გაგზავნილი. ყველაზე მეტი ნახატი ვერნისაზე საქართველოდანაა წარდგენილი. გამოფენა-კონკურსში, ასევე, მონაწილეობენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სტუდენტები. წარდ-

გენილია ნამუშევრები მუსიკისა და ფოტოგამოფენის კატეგორიაში. გამარჯვებული ნახატების ავტორები ნოემბრის დასაწყისში გამოვლინდებიან, შემდეგ კატეგორიებში: სახვითი ხელოვნება (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება), ხალხური რენვა (გამოყენებითი ხელოვნება, თეატრ, ქსოვა), ფოტოგრაფია, მუსიკა და ლიტერატურა.

ნატო აბესაძე, კურსების საჯარო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი: „2005 წლის ნოემბერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და გერმანიის პედაგოგიური გაცვლითი სამსახურის დაფინანსებით, შეიქმნა ერთთვიანი პედაგოგიური პრაქტიკა/პოსპიტაცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ბრანდენბურგის მხარის, ქალაქ ერკნერის (ბერლინთან ახლოს) რეალურ სკოლაში. მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამის დაფინანსებით აღნიშნულ სკოლაში ავიმადლე კვალიფიკაცია, პროგრამა ასევე ითვალისწინებდა გერმანული სკოლის გაცნობას. ერკნერის წარმატებული სკოლის დირექტორი, ფრაუ ზიგრიდ რიდელი იყო. ჩვენი მეგობრობა პროგრამის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა. პერიოდულად მიგზავნიან მეთოდურ სახელმძღვანელოებს, გერმანულ პრესას, მხატვრულ ლიტერატურას, ბროშურებს და ა.შ. სკოლის დირექტორის წარმატებული კარიერის დასრულების შემდეგ, იგი სათავეში ჩაუდგა „ხელოვნების მოყვარულთა კლუბს“. მან წერილით მაცნობა, რომ „Kunstfreunde Erkner“-ის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. მალევე ტელეფონით შემატყობინა, რომ 2010 წელს მხატვართა პირველ საერთაშორისო პლენერს ატარებდა და შემომთავაზა, საქართველოდან ორი მხატვარი წამეყვანა გერმანიაში. პირველი, ვინც გამახსენდა, ზაალ სულაკაური იყო, რომელიც, რა თქმა უნდა, დათანხმდა ჩემს წინადადებას. ასე გავემგზავრეთ გერმანიაში მე და ძმები სულაკაურები. პლენერი 2010 წლის 2 ივლისიდან 12 ივლისამდე ტარდებოდა, შესანიშნავი შედეგებით დაბრუნდით.

ყოველწლიურ კონკურსში „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი“, 7 წლის განმავლობაში, უფროს ასაკობრივ ჯგუფებში, ქართველებმა, 4-ჯერ დაიკავეს პირველი ადგილი, 2-ჯერ – მეორე და მესამე ადგილები. კონკურსი ყველა მონაწილეს აჯილდოებს „აღიარებითი პრიზებით“ და „სამადალობელი ბარათებით“. ფრაუ ზიგრიდ რიდელი ფოსტით გვიგზავნიდა ფულად ჯილდოს და ფასიან საჩუქრებს, სუვენირებს კონკურსში მონაწილე და გამარჯვებული ხელოვანი ახალგაზრდებისთვის.

ზაალ სულაკაური: „ქალბატონი ნატო წლების წინ, კურსების სკოლაში სტუმრობისას, გავიცანი. ერთი თვის შემდეგ დამირეკა და მკითხა, თუ წავიდოდი გერმანიაში პლენერზე, დიდი სიამოვნებით დაეთანხმებოდა. ეს იყო ჩემი პირველი ვასკლა ევროპაში – 2010 წელი. გერმანიაში გატარებული დღეები დაუვიწყარ მოგონებად დარჩა. საერთაშორისო პლენერზე, სადაც 10 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ვხატავდით გერმანიის ღირსშესანიშნაობებს, რომლებიც ნინასწარ დავათვალიერეთ. ასეთ პლენერებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია და თითოეული მხატვრისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობით იღებ უამრავ გამოცდილებას, ეცნობი სხვა ქვეყნის კულტურას და არაჩვეულებრივ ადამიანებს. პლენერის გარდა, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში ვმონაწილეობდი. ვიყავით გერმანულ საბავშვო ბაღში,

სადაც აღსაზრდელებს ხატვის გაკვეთილი ჩავუტარეთ. ბავშვები, მასწავლებლები და მოზალები ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. წლებიდან დღემდე საერთაშორისო პლენერი ჩატარდა სახელწოდებით – „ხიდები გვაკავშირებს“ – „Brücken verbinden – 2017“, რომელშიც, ჩემთან ერთად, 3 ქართველი მხატვარი მონაწილეობდა: ჩემი ძმა – ზურა სულაკაური და მამა-შვილი – ლევან და შოთა გოგიტაძეები. საქართველოში, წელსაც, შესანიშნავი შედეგებით დაბრუნდით.

გამოფენა-კონკურსში „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი“ 2011 წლიდან ჩავერთეთ. როდესაც საქართველოში, ჩემს სტუდიაში, სტუმრად იმყოფებოდა ფრაუ რიდელი, ორი მოსწავლის ნახატი შეარჩია და მათი გერმანიაში წაღება ითხოვა. ერთ-ერთმა ნახატმა პირველი ადგილი მოიპოვა, ავტორი – ნინო ბარამია, მეორე კი – მეორე ადგილი, ავტორი – მარი ასათიანი.

რაც შეეხება კონკურსს მოსწავლეების-



ვის, რომელსაც ორგანიზებას, როგორც უკვე იცით, ფრაუ რიდელი უწევს, ჩვენი სტუდიის მოსწავლეებისთვის, რა თქმა უნდა, დიდი მოტივაციაა. გამოფენა-კონკურსში „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი“ ყოველწლიურად ვმონაწილეობთ. წელს, ჩემი სტუდიიდან, 20 მოსწავლის ნამუშევარი გააქვს გაგზავნილი და შედეგებს მოუთმენლად ველოდებით.

აღსანიშნავია, რომ ფრაუ რიდელი საქართველოში, პირველად, შეუღლესთან ერთად, 2011 წელს ჩამოვიდა. მათ ჯერ კურსების საჯარო სკოლამ უმასპინძლა, შემდეგ კი – ზაალ სულაკაურისა და ლევან გოგიტაძის სამხატვრო სტუდიებმა. გერმანელი სტუმრები უზომოდ მოხიბულად ქართველების სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით, გვითხრა ქალბატონმა ნატომ.

წლების განმავლობაში, გამოფენა-კონკურსის პრიზიორები არიან: 2011 წელს პირველი ადგილი ნინო ბარამიამ მოიპოვა; მეორე ადგილის მფლობელი მარი ასათიანი გახდა; 2012 წელს პირველი ადგილი წილად ხვდა სალომე ბერეჩიძეს, ხოლო მესამე ადგილი – ნინო კობერიძეს. ამავე წელს, ფოტოგამოფენაში „Welcome to Georgia“ მეორე ადგილის მფლობელი თამარ აბესაძე გახდა; 2013 წელს პირველი ადგილი ახალგაზრდა მხატვარმა თორნიკე აბულაძემ მოიპოვა; 2014 წელს მესამე ადგილის პრიზიორი საბა კუპრაშვილი იყო; 2015 წელს ქართველმა ახალგაზრდებმა მხოლოდ

სამადალობელი წერილები მიიღეს და სუვენირები გერმანელი ხელოვნების მოყვარულებსაც; 2016 წელი ახალგაზრდა მხატვრებისთვის იბოლიანი აღმოჩნდა: ქუთაისელმა მხატვარმა, შოთა გოგიტაძემ პირველი ადგილი დაიკავა, გეგა პატურაშვილმა – მეორე; მხატვრებს – ლიკა რუსაძეს, მარიამ დემეტრაძეს და გიორგი კუპრაშვილს „აღიარების“ სიგელი გადაეცათ; კონკურსის ყველაზე უმცროსი მონაწილე, 13 წლის ლუკა გოგიტაძე, სიმპატიის პრიზით დაჯილდოვდა; ამავე წლის კონკურსის ნომინაციაში – მუსიკა და ფერწერა, ქუთაისელ სტუდენტებს – რეზი ლეკვიშვილს, საბა კუპრაშვილს და ზურაბ სულაკაურის სახელობის სევირდებს: მარიამ ყანდარელსა და ალექსანდრე ღონისძივს, გერმანელი ხელოვნების მოყვარულთა კლუბისგან, სამადალობელი წერილები და სუვენირები გადაეცათ.

2013 წელს ქართულ-გერმანულ პლენერში „ცასა და დედამიწას შორის“ მონაწილეობდნენ პროფესიონალი მხატვრები: თეა სულაბერიძე, რომეო ლეკვიშვილი, გიორგი კობახიძე, ქეთევან ფერაძე. ამავე წლის ოქტომბერში ამ კლუბის 8 წევრი ჩამოვიდა საქართველოში, გამართა საინტერესო შეხვედრები. ამავე მისიით, 2016 წელს, საქართველოში ისევ ჩამოვიდა კლუბის 6 წევრი. ამჯერად, პირველად ეწვივნენ ქუთაისში მხატვარ ლევან გოგიტაძის ახლად გახსნილ სამხატვრო სტუდიას, დაესწრნენ ხატვის გაკვეთილს. მოსწავლეებმა სტუმრებს სიურპრიზად ქალაქ ერკნერის დახატული გერბი დაახვედრეს. ამ დღეს გაფორმდა მემორანდუმი, რის შემდეგაც სტუდიის აღსაზრდელები, ყოველწლიურად, აგზავნიან ნამუშევრებს გამოფენა-კონკურსში „ახალგაზრდული ხელოვნების პრიზი“

აღსანიშნავია, რომ წელს გამოფენა-კონკურსში მონაწილეობენ სამი სამხატვრო სტუდიის შეიკრები, ასევე გამოფენაზე წარდგენილია ლამაზ ბადგარაძის ტყდურობა; ფოტოგამოფენაში კი მონაწილეობენ აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტები; წელს ლუკა გოგიტაძე, ერთდროულად, ორ ნომინაციაზეა (ფერწერა და მუსიკა) წარდგენილი.

2018 წელს ქართველი მოსწავლეები და სტუდენტები კვლავ მიიღებენ მონაწილეობას გამოფენა-კონკურსში.



პროფესია პედაგოგი

ეროვნული ჯილდოს პირველი მფლობელი გამოვლინდა

ლალი ჯელაძე

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი **ვლადიმერ აფხაზავა** გახდა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი საქართველოში ამ ჯილდოს პირველი მფლობელია, მას 10 000 ლარი გადაეცა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია თბილისის საკრებულოში გაიმართა.

ლადო აფხაზავა 1976 წლის 9 იანვარს, სოფელ ნიგეზიანში დაიბადა. 1993 წელს დაამთავრა სოფელ ნიგეზიანის საშუალო სკოლა. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის კოოპერაციული ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2010 წლიდან მუშაობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. 2012 წლიდან არის მცირე საოჯახო სახლის მენეჯერი, სადაც რვა ბავშვი ცხოვრობს.

2003 წელს მან დააფუძნა ბანაკი, სადაც მოსწავლეები არაფორმალურ განათლებას იღებდნენ. ბავშვებმა ბანაკს „ლადოს ბანაკი“ უწოდეს. სწავლების პროცესში გამორჩეულად იყენებს პროექტული სწავლების მეთოდოლოგიას. მუდამ ცდილობს, მრავალფეროვანი და განსხვავებული იყოს მისი გაკვეთილი. ამისათვის არ ერიდება გაბედულ ნაბიჯებს და მოსწავლეებს ხშირად სთავაზობს განსხვავებულ გარემოში გაკვეთილების ჩატარებას. მისი ყველა მოსწავლე აქტიურადაა ჩართული სასწავლო პროცესში. მას სწამს, რომ მასწავლებელს ყველა მოსწავლის დაინტერესება შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ ლადო ბევრს აკეთებს არა მხოლოდ საკუთარი მოსწავლეებისთვის, არამედ მთლიანად სკოლისთვის. მისი ბევრი აქტივობა თუ ინიციატივა მთლიანად სასკოლო საზოგადოებას მოიცავს. ამ მიზნით, სკოლის მასშტაბით, მან წამოიწყო პროექტი „დემოკრატიული რევოლუცია“, რომლის მიზანია მოსწავლეთა გააქტიურება, მათი იდეებისა და ინიციატივების რეალიზება. იგი, ასევე, ცდილობს გაზარდოს მშობელთა და თემის ჩართულობა და ამ მიმართულებითაც სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. მის მიერ ინიცირებულმა არაერთმა პროექტმა ფართო აღიარება მოიპოვა. მაგალითისთვის – პროექტს „ეთნო რძლები“ საერთაშორისო ჯილდოც გადაეცა. პროექტი მულტიკულტურალიზმის და ტოლერანტობის განვითარებას ისახავდა მიზნად.

ვლადიმერ აფხაზავა: „მე ეს გული არასდროს არ მღალატობს, მას არასდროს ვაძლევდი საშუალებას, რომ ჩემზე ეფიქრა, მაგრამ ეს დღეები ჩემზე ფიქრობდა, თუმცა არ მინდოდა, რომ ჩემს გულს ეს ეფიქრა. დიდი მადლობა კოალიციას და ძალიან დიდი მადლობა ჟიურის ყველა წევრს, ძალიან დიდი მადლობა ხათუნა ცერცვაძეს, რომ მომეცა ასეთი საშუალება, ის ჩვენი უმაგრესი პროვაიდერი და გვეხმარება ბავშვების აღზრდაში. დიდი მადლობა ჩემს სკოლას, რესურსცენტრის ხელმძღვანელს – ნინო ჩიტაძეს, რომელიც დღეს ჩემ გვერდითაა. მინდა მსოფლიომ გაიგოს ქართველი მასწავლებლის სიტყვა, მე ნამდვილად ვეტყვი მსოფლიოს ჩემს სათქმელს და ეს თქვენი სიტყვაა იქნება.“

იმდენად ღირსეული კონკურსანტები იყვნენ, რომ ნამდვილად არ ველოდი გამარჯვებას, დიდი მადლობა ჟიურის წევრებს. მინდა გითხრათ, მომავალში ძალიან ბევრმა მასწავლებელმა შეავსეთ აპლიკაცია, მერნშუნეთი, ისეთი ჟიურის წევრები ჰყავს კონკურსს, რომ არაფერს არ დაგვიკარგავენ. ასე რომ, იაქტიურეთ მომავალი კონკურსისტების.“

მასწავლებლის „ეროვნული ჯილდოს“ ცერემონიას სპეციალურად მოწვეული სტუმრებიც ჰყავდა, მათ შორის ყველაზე საპატიო 2016 წლის „გლობალური ჯილდოს“ მფლობელი, პალესტინელი მასწავლებელი **ჰანან ალ ჰრუბი** იყო. ის პალესტინაში, ლტოლვილთა ბანაკში გაიზარდა, სადაც ძალადობის ფაქტები ძალიან ხშირი იყო. მისი ბიოგრაფიიდან ვიგებთ, რომ მასწავლებლობა იმ ფაქტის შემდეგ დაიწყო, რაც მის შვილებს სკოლიდან შინსაკენ მიმავალ გზაზე ცეცხლი გაუხსნეს. ინციდენტის შემდეგ ჰანანა ბავშვებს სკოლაში თავად დაჰყვებოდა და გაიზარდა,

თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკლასო ოთახში არსებული გარემო ტრავმირებული პატარების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გახდა, ჰანანამ გამოსცა წიგნი: „ჩვენ ვთამაშობთ და ვსწავლობთ“. ავტორის თქმით, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თამაშის, ნდობის, პატივისცემისა და განათლების მნიშვნელობა.

დაწყებითი კლასების პალესტინელმა მასწავლებელმა წლის საუკეთესო მასწავლებლის ტიტული გასულ წელს მოიპოვა და „გლობალური ჯილდოს“ მიერ დაწესებული მილიონი აშშ დოლარი მოიგო. კონკურენტთა რიცხვი კი 8 000 იყო, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ჰანან ალ ჰრუბი ამჟამად რამალაში ცხოვრობს, მოგებული თანხით სკოლა დააარსა, სადაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ტოლერანტობას ასწავლის, მისი სლოგანია: „არა ძალადობას!“ ის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობს და კოლეგებს საკუთარ გამოცდილებას უზიარებს. ჩვენს ქვეყანაში სპეციალური მოწვევით ჩამოვიდა, რათა საქართველოში „ეროვნული ჯილდოს“ გადაცემის ცერემონიალს დასწრებოდა. მანამდე კი, საქართველოს პედაგოგებს შეხვდა და გამოცდილება გაუზიარა პროფესიის მნიშვნელობის, გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებს მასწავლებლის საერთაშორისო დღე პალესტინელმა მასწავლებელმა სწორედ ამ ცერემონიიდან მიულოცა, განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა ქართველი მასწავლებლების მიმართ:

„მინდა გამოვხატო მადლიერება ჩემი მოწვევისთვის, იმისთვის, რომ დღეს თქვენთან ერთად ვეზიარებ მასწავლებლის მსოფლიო დღეს. მინდა განსაკუთრებული სურვილები და მილოცვა გადავცე მსოფლიოს ყველა სკოლის ყველა მასწავლებელს, განსაკუთრებით კი – საქართველოს. ასევე მინდა, მიულოცო „კოალიცია განათლება ყველასათვის“ ქართულ გუნდს, რომ მათი ძალისხმევა და წარმატება 2017 წლის ეროვნული ჯილდოს საზეიმო ცერემონიალით დასრულდა.“

მასწავლებლები ნებისმიერი განვითარების ქვაკუთხედს წარმოადგენენ, მათი როლი მხოლოდ ცოდნის გადაცემით აღარ შემოიფარგლება, სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ სეველ წარმომადგენელს, მათი განსაკუთრებული როლის გამო, რადგან მომავალ ლიდერებს ზრდის. ჩვენ სულ უფრო მეტს ვსაუბრობთ მასწავლებლების მრავალმხრივ გავლენაზე და მათ მზარდ სოციალურ როლზე. ბევრ ქვეყანაში მასწავლებლები იკავებენ თანამდებობებს მუნიციპალიტეტების საბჭოებში თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, შესაბამისად, მასწავლებლები ის ახალი ხედვის განვითარება შესაძლოა სოციალურად იყოს ინიცირებული. მასწავლებლის როლის ხელახლა განსაზღვრა სოციალურ ასპარეზზე ფართოდაა დაკავშირებული ამჟამინდელ რეალობასთან, ჩვენ ფართოდ მოაზროვნე მასწავლებლებზე ვსაუბრობთ, რომელიც ვინცო ხედვის სწავლებაზე მალა დგას.

ქალბატონებო და ბატონებო, მე მსოფლიოს იმ კუთხიდან გახლავართ, რომელიც დიდი ზენოლის ქვეშ ცხოვრობს, ეს ჩვენს საგანმანათლებლო მისიას ძალიან დიდი სირთულეების წინაშე აყენებს. დროის დიდ ნაწილს ჩვენს ბავშვებსა და მოსწავლეებზე ოკუპაციის გავლენისა და მისი შედეგების აღმოფხვრას ვანდომებთ. პალესტინაში ბავშვები ძალადობის მომსწრე ხდებიან პირდაპირ თუ ახალი ამბებისა და სოციალური მედიის საშუალებით. ეს ყოველდღიური ტანჯვა საკლასო ოთახის ნაწილად იქცევა და იმედგაცრუებამდე მივყავართ.

ჩემი მასწავლებლობის პირველი დღიდან შევითვისე სლოგანი – „არა ძალადობას!“ და დავიწყე „ითამაშე და ისწავლე“ მდგომის გამოყენება, რომელიც სახლში, ჩემს საკუთარ შვილებთან გამოვცადე. გადავწყვიტე, მასწავლებლები, როგორც ხელოვანები, უნდა ქმნიდნენ გარემოს, რომელიც ათავისუფლებს ბავშვს და მის წარმოსახვას ყოველდღიური ტრავმისგან, ეხმარება მოსიყვარულე და ხალისიან ადამიანად ფორმირებაში. დაფინანსებების ნაკლებობამ მოტივაცია მომცა და მაიძულა, კრეატიული ვყოფილიყავი და ასე გამეხალისებინა მათთვის გაკვეთილები. უსაფრთხო, მიმზიდველი და სახალისო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა იყო ჩემი პრიორიტეტი. მჯერა, ბავშვს აქვს უფლებ...



ბა, ითამაშოს და საკუთარი ბავშვობა უსაფრთხო გარემოში მხიარულად გაატაროს. თამაშით ჩვენი ბავშვები ცხოვრებისეულ უნარებს იძენენ, ღირებულებებთან და ეთიკის ნორმებთან ერთად. ჩემმა სათამაშოებმა, ხელსაწყობებმა და აქტივობებმა სიხარული, უსაფრთხოება და სიმშვიდე უზრუნველყო, რომელიც საკლასო ოთახის მიღმა იყო დაკარგული. ამდენად, რაც კლასში ხდება, ჯადოსნობას ჰგავს, შემინებული და სევდიანი ბავშვის სახეზე ღიმილის მოგვრა მარტივი არ არის. ჩვენ ვართ ისინი, ვისაც მომავალი თაობის გაძლიერება შეუძლია და მათი სწორ გზაზე დაყენება. მინდა მადლობა გადავუხადო ვარკის ფონდს მსოფლიო ჯილდოს ინიციატივის დაწესებისთვის, რომელმაც ნათელი მოზაიკა მასწავლებლის როლის მნიშვნელობას საზოგადოებაში, მათ მთავარ პასუხისმგებლობასთან ერთად. კიდევ ერთხელ გულისითადი მადლობა მოწვევისთვის და ეულოცავ ეროვნული ჯილდოს მფლობელს და ყველა მოწინააღმდეგე.

ეულოცავ მსოფლიოს ყველა მასწავლებელს დღევანდელ დღეს, მათ, ვინც იბრძვის და იღვწის იმისათვის, რომ უკეთესობისკენ შეცვალოს საკუთარი მოსწავლეების ცხოვრება. ღმერთმა დალოცოს მასწავლებლები და თქვენ ყველა.“

2017 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში გამოვლენილი განსაკუთრებული მიღწევებისთვის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის სახელით, დაჯილდოვდნენ:

- ❖ **ტოლია კილასონია** – ქალაქ სენაკის მუნიციპალიტეტის წმინდა ალექსი შუმანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის V-VIII კლასების ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მასწავლებელი;
- ❖ **თეა ნონიკაშვილი** – ხიდისთვის საჯარო სკოლა, VII-XI კლასების ბიოლოგია-ბუნებისმეტყველების მასწავლებელი;
- ❖ **თინათინ ზარდიაშვილი** – თბილისის 143-ე საჯარო სკოლის VIII-XI კლასების ქიმიის მასწავლებელი.

გამარჯვებულებს ტექნიკური აღჭურვილობა გადაეცათ, რომელსაც საგაკვეთილო პროცესში გამოიყენებენ.

გამარჯვებულმა პედაგოგმა, რომელიც დამსახურებულმა მათემატიკოსმა **გურამ ბერიშვილმა** ხუთ ფინალისტს შორის დაასახელა, პრიზად 10 000 ლარი მიიღო, დანარჩენ ფინალისტებს კი „ღობერთი ბანკისგან“ საჩუქრად 1000-1000 ლარი გადაეცათ.

ლადო აფხაზავა მონაწილეობას მიიღებს მასწავლებლის გლობალურ კონკურსში, სადაც საპრიზო ფონდი 1 მილიონი დოლარია.

ჯილდოს გამარჯვებული შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით გამოვლინდა:

- ❖ მოსწავლეების სწავლის შედეგების დინამიკა;
- ❖ სწავლების ინოვაციური და ეფექტური მიდგომების გამოყენება;
- ❖ ზოგადსაკაცობრიო მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების სწავლება;
- ❖ საზოგადოებრივი აღიარება და სამოქალაქო აქტივობა;
- ❖ პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზიარება.

კონკურსანტთა შერჩევის სამეტაპიანი პროცესი 17 ნვერისგან დაკომპლექტებულმა ჟიურმა წარმართა. 18 სექტემბერს ჯილდოს 5 ფინალისტი გამოვლინდა – **ეკა წულუკიძე** (სვანეთი), **ნათია ფურცელაძე** (თბილისი), **ნინო აბულაძე** (თბილისი), **თეა ნონიკაშვილი** (მიდა ქართლი), **ვლადიმერ აფხაზავა** (გურია). „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ გლობალური კამპანიის The Global Teacher Prize ნაწილია და მიზნად ისახავს წარმატებული მასწავლებლების გამოვლენას, საზოგადოებისთვის მათ წარდგენას და პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას.

„მასწავლებლის ეროვნული ჯილდო“ კოალიცია „განათლება ყველასათვის – საქართველოს“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და განათლების სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2017 წლის 13 მაისს დაწესდა.



კიდევ ერთხელ ქართული წერა-კითხვის სწავლებისათვის

ენის სწავლების მეთოდს, უპირველეს ყოვლისა, ამ ენის აგებულება, მისი თავისებურება განაპირობებს. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ სხვადასხვა ენების წერა-კითხვის სწავლებისას სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ანბანის სახელმძღვანელოთა სრული მსგავსება ამ მხრივ: „როდესაც ამ ერთი წლის წინათ ერთმა ჩვენმა ახალგაზრდამ გერმანიიდან მოიტანა ნემეცურს ენაზე რამდენიმე სახელმძღვანელო წიგნი და ჩვენ ისინი გადავსინჯეთ, განცვიფრებულნი დავრჩით: ჩვენ წიგნსა და ამ სახელმძღვანელოს შორის ვიპოვეთ სრული მსგავსება“. მაგრამ აქვე დიდი პედაგოგი იმასაც აღნიშნავს, რომ მსგავსების გარდა, ამ წიგნებს შორის დიდი განსხვავებაც იყო: „ჩვენს წიგნში პირველივე ნორმალური სიტყვის ანალიზის შემდეგ ბავშვი შესწავლილი ორი ასოდან ადგენს და კითხულობს სიტყვებსა. ფრაზას ნემეცურს სახელმძღვანელოებში კიდევ უფრო გვიანა ვხედავთ. „დედა ენაში“ კი პირველსავე გაკვეთილში, პირველსავე დღეს ბავშვი კითხულობს ფრაზას. ნემეცურს წიგნში უაზრო მარცვლები ვერ აუცილებიათ, ჩვენს წიგნში კი არც ამ ნაკლებლოვანებას აქვს ადგილი. მარცვლების მაგიერ ჩვენ მოვძებნეთ და ჩაერთეთ ორასობიანი სიტყვები, რომლებიც მარცვლებით ადვილნი არიან საკითხავად და ამასთან უაზრობას მოკლებულნი, რადგანაც თითოეული მათგანი რამიმ წივთს, საგანს აღნიშნავს და წარმოუდგენს გონებაში ბავშვსა“. იაკობ გოგებაშვილი წერს, რომ „დედა ენის“ შედგენისას იგი მისდევდა „საკუთარ მოსაზრებას, საკუთარ აზრსა“, რაც საბოლოოდ წერა-კითხვის სწავლების პროცესში ქართული ენისათვის მისაღები და მორგებული მეთოდის შერჩევას გულისხმობდა.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულში 33 ბგერაა და თითოეულ ასოს თავისი საკუთარი წერიტი ნიშანი – ასო – აქვს. ყოველი ბგერა სიტყვაში, ძირითადად, ერთგვარად წარმოითქმის და წერაშიც ერთი გრაფიკული ნიშანი აქვს. როგორც აკადემიკოსი აკაკი შანიძე წერს, ეს ფაქტი „...დიდი ღირებულება აქვს ანბანისა და ამ მხრივ იგი მრავალ უცხო ენაზე მაღლა დგას“. პროფესორ ლეო კვაჭაძის აზრით კი, „ქართული ანბანი ერთ-ერთი სრულყოფილი ანბანთაგანია, რომელიც საკმაოდ ზუსტად ასახავს ქართული ენის ბგერით შედგენილობას... ქართულში ყოველ ასოს ჩვეულებრივ ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს... თითო ბგერას თითო ასო გამოხატავს, რაც ადვილად ქართული წერა-კითხვის შესწავლას“.

ჩვენი ენის ეს თავისებურება ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეამჩნიეს ჩვენმა მკვლევრებმა და ცდილობდნენ, იგი წარმატებით გამოეყენებინათ ქართული წერა-კითხვის სწავლებისას.

„ქართული ანბანი სათითაოდ შეიცავს ყველა იმ ხმას, რომელთა წარმოთქმაც კი შეუძლია ქართველს და ყოველ შემთხვევაში ერთი ხმის გამოსახატავად აქვს ერთი და იგივე ნიშანი“, – წერდა „ივერია“ ჯერ კიდევ 1878 წელს, როდესაც ქართული წერის დედნის შედგენის აუცილებლობაზე საუბრობდა. ამავე კუთხით აფასებს ქართულ ანბანს ცნობილი მკვლევარი პეტრე უსლარი, რომელიც მიუთითებს, რომ ქართული ანბანის ეს თავისებურება დიდად ამარტივებს ქართული ორთოგრაფიის შესწავლას: „თუ ქართულ ანბანს გადავხედავთ თვით ქართული ენის მიმართ, შეუძლებელია, არ ვაღიაროთ, რომ ის აკმაყოფილებს ყველა პირობას: ის თითქმის ყველა არსებულ ანბანზე უსრულყოფილესია. ყოველი ბგერა გამოიხატება განსაკუთრებული ნიშნით და ყოველი ნიშანი ერთსა და იმავე ბგერას გამოხატავს. ყოველ ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება – ორთოგრაფია. ქართველებისათვის მათი ანბანის სისრულის მეოხებით, ეს სიძნელე თითქმის არ არსებობს“.

მაგრამ ბგერა, ფიზიკური თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარად წარმოითქმის იმის მიხედვით, თუ რა გარემოცვაში მოხდება იგი. როდესაც ბგერაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ სამეტყველო ბგერები, ე.წ. „ფონოლოგიურად ღირებული“ ბგერები, ფონემები. როგორც ვიცით, ფონემს სხვადასხვა გარემოცვაში მოხვედრილ ბგერებს აერთიანებს და მიგვიტოვებს, რომ ამ ბგერის ყველა შესაძლო ვარიანტი ერთი ნიშნით შეიძლება გამოიხატოს, რომელთაც სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვთ. თუმცა ეს არ ცვლის საერთო სურათს: ქართულში არ გვაქვს ისეთი დაცილება წარმოთქმასა და წერას შორის, როგორც ეს სხვა ენებშია.

სწორედ ქართულ ბგერათსისტემისა და ანბანის სპეციფიკა განაპირობებს ქართული წერა-კითხვის სწავლების მეთოდის შერჩევასაც. სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ ქართულ საანბანო წიგნებში წერა-კითხვის სწავლების თითქმის ყველა მეთოდი მოსინჯულია. ამ თვალსაზრისით მუდმივი განახლების რეჟიმში იმყოფებოდა იაკობ გოგებაშვილის საანბანო წიგნებიც: „დედა ენაში“ დიდი პედაგოგი უცბად არ მისულა, ამოსავალი წერტილი მეთოდის შერჩევისას მისთვის, პირველ რიგში, ენის თავისებურების გათვალისწინება გახლდათ. ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, საბოლოოდ არჩევანი ე.წ. „ბგერით ანალიზურ-სინთეზურ“ (დალმავალ-აღმავალ) მეთოდზე შეაჩერა. როგორც ცნობილია, ეს მეთოდი იძლევა საშუალებას სიტყვიდან ბგერის გამოყოფისა, მის წარმოთქმასა და არტიკულაციასზე დაკვირვებისა და ბგერის შესაბამისი ასოს გაცნობისა. ეს მეთოდი ქართული ენისათვის ყველაზე

მოხერხებული და ადეკვატური მეთოდი. მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებას ერთი ნაკლი აქვს: ეს გახლავთ ცალკეული ასოების განმხოლოებით კითხვა: სწავლების დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს უჭირთ ასოების შერწყმით კითხვა. ამ მეთოდის გამოყენებისას ამ სირთულეს მასწავლებლები ხშირად აწყდებიან. მის დასაძლევად ქართველი მეთოდისტები ითვალისწინებენ ისევ ქართული ენის თავისებურებას, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენისა, კერძოდ: მარცვალს ქართულში ცალკე ნიშანი არ აქვს. იგი ბგერათა შერწყმით, ასოთა ერთიმეორესთან შეერთებით მიიღება. ამიტომ, როცა ბავშვი მარცვალს კითხულობს, კითხვის დასაწყისში ყოველთვის ანანევრებს მას ბგერებად. ასეა კითხვის დასაწყის ეტაპზე; შემდეგ კი, როცა მოსწავლე კითხვას ისე ეუფლება, რომ აღარ სჭირდება თითოეულ ასოსა და მარცვალზე საგანგებო ფიქრი, მაშინ აღარც ასოთა შერწყმით კითხვის ამოცანა რთული გადასაწყვეტი, ეს უკვე განვლილ ეტაპად ითვლება. ამრიგად, სიტყვაში ძირითადი სახმო ელემენტი ასოა და არა მარცვალი. მარცვალი სიტყვაში სახმო ელემენტად მაშინ იქცევა, როდესაც ბავშვი სიტყვის შემადგენელ ნაწილებს სწრაფად არჩევს და ერთიმეორესთან სწრაფად აკავშირებს. შეერთება შესაერთებლების წინასწარ ცოდნას მოითხოვს. კითხვის დასაწყის ეტაპზე მთავარი ამოცანაა, რომ მოსწავლეებმა შეგნებულად ისწავლონ ასოთა ერთი მეორესთან დაკავშირებით კითხვა, მარცვლის ერთი ალქმით კითხვა. ამ მიზანს ემსახურება ქართული ანბანის სახელმძღვანელოში სიტყვათა დამარცვლით წარმოდგენა და არა უაზრო მარცვლების კითხვასა და დაზეპირებაზე ვარჯიში, მოძრავი ასოების გამოყენებით სიტყვის დამარცვლა, ამ მარცვლების კვლავ შეერთებით მთლიანი სიტყვის ამოკითხვა. ამავე მიზანს ემსახურება წინასაანბანო პერიოდში სიტყვიდან ბგერის განმხოლოება და მისი გამოყენებით ჯერ მარცვლის, შემდეგ კი სიტყვის შედგენა. ასოთა შერწყმით კითხვა თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ცალკე ასოს/ბგერის ფონაცია სწორად და სწრაფად შეეძლოს მოსწავლეს. ცალკეული ასოს ცოდნა ხელს კი არ შეუძლის კითხვაში დამწყებს, ერთი ალქმით ნაიკითხოს მარცვალი, არამედ პირიქით – ხელს შეუწყობს მარცვლობრივი (გაბმული) კითხვის ჩვევის გამომუშავებას.

ნათელა მაღლაკელიძე
ილიას უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისობა გამახსენა...

„მეფე ლომკაცმა, თუ მეგლეკაცმა დაგარტყა კვერთხი და ჩემს წამებად შენ აღსდევო ქვეყნად ქალაქო.“
ტიციან ტაბიძე – „თბილისი“

არ მეგულეა ქართველი, ვისაც თბილისობის დღესასწაული არ უყვარს. სოფლის ნაბარაქალი ეტყობა ქალაქს, თბილისიც ამაყობს ამ დღით, აზივებს და ადღესასწაულებს ქართველებს, ასენებს მათ – გასხვადე თვის გორისანი ხართო.

სოფელი იყო, არის და იქნება ხერხემალი სრულიად საქართველოსი. როგორც პაოლი იაშვილი წერს ლექსში „წერილი დედას“, „მართალი ბათმანი“. ქართველი მწერლები და პოეტები ყოველთვის მიგვანინებდნენ, რომ სწორედ სოფელს უნდა გადაერჩინა ქართველთა ეროვნული სული, რადგან იქ მიწაზე მომუშავე ბევრი დედა და გუთნისდედა ცხოვრობს, ცალ ხელში რომ წიგნი უჭირავს და მეორეთი მიწას უყლის, რათა თვითონაც კარგად იყოს და სხვადასხვა აეროს. თბილისობის დღესასწაული, რომელსაც ასე ელოდებიან თბილისელები და ქალაქის სტუმრები, ტრადიციულად, ღია ცის ქვეშ იმართება.

„თბილისობა“ წელს 7-8 ოქტომბერს აღინიშნა. ალბათ ბევრმა არ იცის, რომ დღესასწაულის ინიციატორი იყო ქართველი მოგზაური, მხარეთმცოდნე და ჟურნალისტი **გვანჯი მანია**. 1976 წლის ნოემბერში მან გაზეთ „თბილისში“, თბილისობის დღესასწაულის ჩატარების წინადადებით, დიდი სტატია გამოაქვეყნა. ამ სტატიამ რეზონანსი გამოიწვია. მთელი ნახევარი წელი მას საზოგადოება განიხილავდა, ერთი წლის შემდეგ კი ქვეყნის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, ოფიციალურად დაეფუძნებინა დღესასწაული „თბილისობა“.

დღესდღეობით, თბილისის ქუჩები რამდენიმე დღით ზემის ცენტრად ქცეული. ცენტრალურ გამზირზე და ძველ უბნებში სახალხო სეირნობა ეწყობა, მდინარე მტკვარზე ტივები და ცურავენ მუსიკოსებითა და გამლილი სუფრით, ქუჩებში იმართება ყვავილეების დღესასწაული, გამოდიან მომღერლები და მოცეკვავეები, ახალგაზრდებს გამოეწვიოთ აქვთ ხელნაკეთი ნივთები და მოსეირნე ხალხს თავიანთი ნაშრომებით აწონებენ თავს, ღია ცის ქვეშ მაცდურად ტრიალებს მწვადის სუნი და ღვინის დაჭაჭნიკების საღერლელს უშლის გამვლელებს, მზადდება თათარულ და სხვა ქართული კერძები. თუმცა, მიუხედავად ქალაქში შექმნილი ხალისიანი განწყობისა, ერთი რამ მაინც უნდა აავიწმინო, თბილისობის დღესასწაულზე საღამო ხანს მომიხდა გასვლა და ნიკო ლორთქიფანიძეს რომ დავუხსენებ – „იცოცხლე მთელი ქალაქი მხადეებით და ბანცალებდა“. ბანცალი და თრობა დღესასწაულს ყოველთვის ახლავს, მაგრამ, სამწუხაროდ, თბილისი ნავთი იყო სავსე და სიყვარულითა და პატრიოტიზმის გრძნობით ავლევებულ ახალგაზრდებს შემთხვევით ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, პოლიცია იყო მობილიზებული. რატომღაც ნანახმა გამახსენა გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა „ალავერდობა“. გადავწყვიტე გურამ რჩეულიშვილის

მოთხრობის მოკლე მიმოხილვა, რათა ჩვენს მოსწავლეებს შევასხენო, რა როლი და დანიშნულება აქვთ ქვეყნის წინაშე.

როგორც მწერლის მეგობარი ნუგზარ ნერეთელი იხსენებს, გურამ რჩეულიშვილმა, როგორც ჭეშმარიტმა ეროვნულმა მწერალმა, კარგად იგრძნო თავისი როლი და დანიშნულება საკუთარი ხალხის წინაშე. ის ფართოდ გავრცელებულ დღესასწაულ „ალავერდობაზე“ მარტოდმარტო ჩავიდა, უნდოდა რაც შეიძლებოდა მეტი შეეცნო, დროსტარებისთვის არ მომცდარიყო, საკუთარ თავთან შეემომწებინა დანახულისა და ნათქვამის სიმართლე. ალავერდის ჩასული მწერალი დადიოდა ამ უძველესი რელიგიური დღესასწაულის მრავალრიცხოვან მონაწილეს შორის, ყურს უგდებდა მრავალ კილოზე მოქიფებებსა და მოცეკვავეებს, მწარედ განიცდიდა ირგვლივ სტიქიასავით მომსკდარ უაზრობას.

არაფერი აღარ დარჩენილიყო ჭეშმარიტი და ამაღლებული ალავერდის ტაძარში, კანდელის ძირას, თავნაჭრილი მამალი და ცხვრის თავ-ფეხი ეყარა, ქალაქელი უსაქმურები სივარეტს აბოლებდნენ ტაძარში, თან ქალებს უცქერდნენ მუშტრის თვალით, იქაურობა უინტერესოდ დარჩენილი ნამთვრალევი ხალხით იყო სავსე. უთავბოლო აურზაურსა და ღრუბლას ბოლო არ უჩანდა. წრფელი გულისტივილი დაეფულა ჭაბუკ მწერალს და დაებადა სურვილი, რაიმე გაეკეთებინა, შეეჯანჯღღარებინა ეს ხალხი.

ხალხმა დაინახა ლავგანდარზე მიმავალი ჭაბუკი, შეწყდა ცეკვა, ფეხის წვერებზე შეეყინა ტაქტი მოცეკვავეებს, ზურნის ჭყუტუნი მიჩუმდა, ხალხმა დაინახა ეს მოჩვენება, ყველა აღელდა. ხმა გავარდა, კაცი დგას გუმბათის ლავგანდარზე, ყველა ლავგანდარს შიგნით შეცვივდა. მწერალმა დაიყვირა მეტი ეფექტისთვის, „ხალხი ისევ უძრავად იდგა“.

გურამმა შეძლო მიზანდაკარგული ხალხის გამოფხიზლება, მათი ამაღლებულ სამყაროში გადაყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოების დაწერიდან საკმაოდ დიდი დროა გასული, მოთხრობა აქტუალური პრობლემებით დღევანდელ ვითარებას ესადაგება.

ფიქრობ, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“ ერთ-ერთი იმ მოთხრობათაგანია, რომლის ნაკითხვის შემდეგ არ შეიძლება არ გაგიძლიერდეს შენი ქვეყნის მოფრთხილების სურვილი. „თბილისობაც“ და „ალავერდობაც“ სახალხო ზემებისა და ამ დროს ვლინდება ჩვენი მანკიერი თუ დადებითი თვისებები.

ჩვენი დედაქალაქი ტაძარია თითოეული თბილისის მკვიდრი მოსახლისთვის, ამიტომ მას მეტი მოფრთხილება სჭირდება.

დასვას ამაღლება მოჰყვება



27 სექტემბერს, დაბა ადიგენის საჯარო სკოლაში (დირექტორი – გიორგი ქომეთიანი), V კლასის მოსწავლეებმა, ისტორიის მასწავლებლის, ეთერ ბუცხრიკიძის ხელმძღვანელობით სოხუმის დაცემის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს. შეხვედრა დაიწყო სიტყვებით: „გვახსოვდეს აფხაზეთი“. მოსწავლეებმა ასაუბრეს 1993 წლის 27 სექტემბერზე, როგორც ტრაგიკულ დღეზე, რადგან 13 თვის და 13 დღის დაპირისპირების შედეგად ათეული ათასობით ადამიანი დაიღუპა, 300 ათასი კი დევნილად იქცა. რუსეთმა მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ა.შ. ბოლოს მოსწავლეებმა ნაიკითხეს ლექსები აფხაზეთზე, მათ შორის, საკუთარიც და ღონისძიება დაასრულეს სიტყვებით: 27 სექტემბერი ჯვართამაღლების დღეა, ამიტომ დაცემას ამაღლება მოჰყვება, გამოდევნას კი – დაბრუნება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მოსწავლეები: ნანუკა მაჭარაშვილი, მარიამ ბახტურიძე, თამუნა ხოზრევანიძე, საბა მოსიაშვილი, მარიამ მაჭარაშვილი, მარი შავაძე, გიორგი გელაშვილი, ბესო იაკობაშვილი, სერგი დაზიაიძე, ბონდო ჯეღიაი, ლუკა ჩიხაძე და სხვები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლის დირექცია, პედაგოგები და მოსწავლეები. სკოლის დირექტორმა, გიორგი ქომეთიანმა, მადლობა გადაუხადა მონაწილე მოსწავლეებსა და მათ ხელმძღვანელს.

ეთერ ბუცხრიკიძე
დაბა ადიგენის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ნონა კვეციანი
სსიპ თბილისის №190 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ქართული სტუდენტები უსსოთში

მინდა შევქმნა გლობალური კომპანია, რომელიც ხალხის სხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

რუბრიკის სტუმარია არჩილ ჭიშვილი - ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ტექნოლოგიური კომპანიის „Palatine Analytics“ დირექტორი



- გზა ოცნებიდან ჰარვარდამდე

- დანებით კლასებში ზოგს უნდა, კოსმო-ნავტი გახდეს, ზოგს - მეხანძრე, ზოგს - ექიმი, ზოგსაც - პოლიციელი. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებდა: ბიზნესი, ბიზნესი, ბიზნესი! ადრეული ასაკიდანვე ვოცნიერობდი, შემეძინა მასშტაბური ბიზნესი, რომელიც უკეთესობისკენ შეცვლიდა ხალხის ცხოვრებას. ბავშვობიდან ვხედავდი, რომ ქვეყანაში დიდი პრობლემები იყო, რომელთა გადაჭრაც ჩემს მიზნად და პირად გამოწვევად მიმაჩნდა. ვიცოდი, ამისთვის კარგი განათლება დამჭირდებოდა. სკოლაში სწავლისას, „ჰარვარდი“ მხოლოდ კინოში მქონდა გაგონილი. იმ დროს, ერთადერთი, რაც მასთან მაკავშირებდა, იყო დიდი ოცნება.

ჰარვარდში ჩასაბარებლად დამეხმარა ლიდერის პოზიციები და კარგი აკადემიური შედეგები. სკოლის პერიოდში ვიყავი კლასის პრეზიდენტი და რამდენიმე სპორტული გუნდის კაპიტანი. ვცდილობდი ყველაფრის ეფექტურად კეთებას, ანუ განმეგობრებინა უნარ-ჩვევები, მაქსიმალური შედეგი მიმელო, რაც შეიძლება ნაკლებ დროში. ასევე, ვიყავი სხვადასხვა სასკოლო ოლიმპიადებში გამარჯვებული და ამერიკის ეროვნულ გამოცდებში, ამიერკავკასიაში, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქულა მქონდა. ეს ყველაფერი დამეხმარა, რომ ჰარვარდში ჩამებარებინა - მოვიპოვე, დაახლოებით, 300 000-დოლარიანი სტიპენდია. პირველი ქართველი ბიჭი ვიყავი, რომელიც ჰარვარდის ბაკალავრიატზე, ეკონომიკის მიმართულებით ესწავლებოდა.

პირველად, ჰარვარდში კარიბჭიდან შევედი, სადაც ვწერა: „შედი, რომ სიბრძნელი გაიზარდო“. ამ დღიდან არ გამწვანებია სულისკვეთება, მიმელო კარგი განათლება და ჩამომეყალიბებინა ურთიერთობები, რათა მემსახურა ხალხისთვის და ჩემი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. ჰარვარდში, თითოეული სტუდენტი, პირველ რიგში, საკუთარ თავს სწავლობს: რა სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს და რა აინტერესებს. ჰარვარდი არის ადგილი, სადაც ღრმა ურთიერთობებს ავითარებ შენი თაობის ყველაზე გავლენიან, ჭკვიან ადამიანებთან - დანებებული სამეფო ოჯახების წევრებით, დამთავრებული მსოფლიო დონის ფიზიკოსებით. ჰარვარდი გაძლევს ყველა იმ რესურსს, რაც გჭირდება შენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლისთვის.

- რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ

- იმისთვის რომ ჰარვარდში ჩააბარო, საჭიროა, ან რაღაც კონკრეტულ სფეროში იყო მსოფლიო დონის ექსპერტი, ან ბევრ სფეროში იყო ნიჭიერი. ჩაბარების დროს მთავარია, ნათლად, ერთ ნინადადებში წარმოაჩინო, რატომ უნდა მიგიღოს ჰარვარდმა. მაგალითად, მე უნდა მიმიღოს ჰარვარდმა იმიტომ, რომ ვარ მსოფლიო დონის მათემატიკოსი. ამის შემდგომ, აბლიკაციის ყველა ნაწილი (პერსონალური ესე, ინტერვიუ, რეზიუმე, სარეკომენდაციო წერილები) უნდა ამყარებდეს

ამ მთავარ მიზეზს.

სკოლის მოსწავლეებს ვეხმარები, რომ ჩააბარონ თავიანთ საოცნებო უნივერსიტეტში, ვუზიარებ იმ შიდა და დახურულ, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, რაზეც რთულია გქონდეს წვდომა, თუ ჰარვარდში არ გისწავლია.

- არჩილ, ჰარვარდში სწავლის პარალელურად, უნივერსიტეტში სამი სტუდენტური ორგანიზაციის პრეზიდენტი იყავი, მათ შორის ერთ-ერთის დამფუძნებელი. ასევე იყავი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დიდი სტუდენტური ორგანიზაციის „Harvard College Entrepreneurship Forum“ წევრი. კერძოდ, რა მიზანს ემსახურება ჰარვარდის სტუდენტური ორგანიზაციები და რა საქმიანობას ეწეოდით?

- ლიდერის პოზიციის დაკავება პირველი კურსიდან მინდოდა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი კურსელები ჩემთვის საინტერესო იდეის გარშემო შემეკრიბა და დამეარსებინა სტუდენტური გაერთიანება. გუნდი შევქმენი და დავაფუძნე ორგანიზაცია, რომელსაც „ეკროპული ბიზნეს ჯგუფი“ ჰქვია. ამჟამად, ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჯგუფია ჰარვარდში. მისი ძირითადი მიზანია ევროპის მომავალი ლიდერების ერთ ორგანიზაციაში გაერთიანება და ერთმანეთთან დაკავშირება. ასევე, ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ძველი - „ჰარვარდის მენარმეთა ორგანიზაციის“ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი.

- როგორც ვიცი, საქართველოში ადრეული ასაკიდან დაიწყო რამდენიმე მცირე ბიზნესის წარმოება. რა იყო შენი პირველი ბიზნესი და როგორ განვითარდა?

- ჩემს ბავშვობაში ძალიან პოპულარული იყო პოკემონებით თამაში, რომლის შექმნაც, ჩვენს მეზობლად, მალაზიაში შეგვეძლო. ერთ დღესაც, მალაზია დაინვა და დაიკეტა. ჩემი მეგობრის ცნობით, მოშორებით, სხვა უბნის მალაზიაში იყიდებოდა ჩვენი გასართობი. მახსოვს, მალაზიაში რამდენიმე პოკემონიც იყო, ყველა ვიყიდე და შემდეგ ერთ კვირაში გავყიდე ორმაგ ფასად, რა თქმა უნდა, ჩემს სამეზობლოში. ამ დროს მ წლის ვიყავი, სწორედ ამ ასაკში ვისწავლე ეკონომიკის და ფინანსების ორი ძირითადი პრინციპი: მოთხოვნა-მიწოდება და არბიტრაჟი.

- საფონდო ბირჟაზე ინვესტირება 14 წლიდან დაიწყო და წარმატებასაც მიაღწიე?

- დიახ, საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა 14 წლის ასაკში დავიწყე. ეს იყო 2007 წელს, როდესაც მსოფლიოში სწრაფი ეკონომიკური ზრდა იყო. ამ წელს, ჩემმა ფინანსურმა პორტფელმა ძალიან დიდი მოგება ნახა, თუმცა 2008 წელს, მოგებები ფინანსურმა კრიზისმა დაჩრდილა. ვისწავლე, რომ არასდროს უნდა იყო ზედმეტად თვითდაჯერებული, უნდა აკონტროლო ემოციები და აუცილებელია, იცოდე, რა არ იცი. მნიშვნელოვანია, საფონდო ბირჟის შესახებ სხვებისგან დამოუკიდებელი მოსაზრებები გქონდეს და ეს მოსაზრებები ყოველთვის, რაც შეიძლება ჭკვიან ადამიანებთან გამოსცადო.

- მესამე კურსის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო მსოფლიოს ყველაზე დიდ ჰეჯ-ფონდში „Bridgewater Associates“, სადაც ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი იყავი და საფონდო ბირჟაზე ინვესტიციებს ახორციელებდი. როგორ აკეთებს ფულს ჰეჯ-ფონდი, რატომ არის ის დღეს ასე პოპულარული, ძირითადად, ვის ემსახურებიან ამ ტიპის ფონდები, არის თუ არა ტიპიურ ჰეჯ-ფონდებში ინვესტირება ხალხის ფართო მასებისთვის ხელმისაწვდომი თუ მხოლოდ პროფესიონალ ინვესტორებს ემსახურებიან?

- ინვესტირებამ ძალიან დამაინტერესა იმიტომ, რომ ბაზარი სწრაფად იცვლება და შესაძლებლობებს ლიმიტი არ აქვს. ამიტომ, ჰარვარდის მესამე კურსის დასრულების შემდეგ, მუშაობა დაიწყო მსოფლიოს ყველაზე დიდ და ბევრი რეიტინგის მიხედვით, ყველაზე წარმატებულ ჰეჯ-ფონდში „Bridgewater Associates“. კომპანიაში ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი და საფონდო ბირჟაზე ინვესტიციებს ვახორციელებდი. Bridgewater ცნობილია არა მარტო ფინანსური წარმატებებით, არამედ მუშაობის უნიკალური კულტურითაც. პირველ რიგში, ეს გულსხმობს უკიდურეს გამჭვირვალობას და სურვილს, ყველაფერი გაკეთდეს ჭეშმარიტების დასადაგენად.

- მეგობრებთან ერთად, ბოსტონში ტექნოლოგიური კომპანია „Palatine Analytics“ დააფუძნე. შენ ამბობ, რომ კომპანია მომავლის თაობის ხელოვნური ინტელექტს ავითარებს, რომელიც სხვადასხვა კომპანიის თანამშრომ-

ლებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაგებაში ეხმარება. დაახლოებით რამდენ და რომელ კომპანიებთან თანამშრომლობთ, უფრო დეტალურად გვიამბე ამ კომპანიის საქმიანობისა და მიზნების შესახებ?

- ამ ეტაპზე, ჩემი საქმიანობა, ტექნოლოგიური კომპანია „პალატინის“ განვითარებითაა განსაზღვრული. ეს ორგანიზაცია ბოსტონში, ჩემს უნივერსიტეტულთან ერთად, რომლებიც Google-სა და Facebook-ში მუშაობდნენ, დავარსე და ამჟამად ვუძღვები, როგორც კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი. დიახ, ჩვენი კომპანია მომავლის თაობის ხელოვნური ინტელექტს ავითარებს. პროგრამის მომხმარებლები არიან სხვადასხვა კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც კვირის განმავლობაში ერთმანეთს აფასებენ სხვადასხვა უნარის მიხედვით. ვიყენებთ ხელოვნურ ინტელექტს, რომ დავეხმაროთ ჩვენს მომხმარებლებს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების გაგებაში. პლატფორმა ეხმარება არა მარტო თანამშრომლებს, თავიანთი პოტენციალის სრულად გამოყენებაში, არამედ დამსაქმებლებსაც, ინფორმაციის ფლობის შედეგად, მეტად ობიექტური გადამსწვლელი მიიღონ თანამშრომლების დანიშნულების შესახებ.

- არჩილ, როგორ გესახება მომავალი? - მინდა შევქმნა გლობალური, მასშტაბური კომპანია, რომელიც ხალხის ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის.

ესაუბრა მანა ყიფინი

ინფორმაცია

მესტიის ეტალონი მოსწავლე

„ეტალონი“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყემელაშვილი, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, დაბა მესტიის №3 სკოლას ესტუმრა.

მან კიდევ ერთხელ მიულოცა გამარჯვება 2016-2017 სასწავლო წლის „მესტიის ეტალონი მოსწავლე“ - ლილე ფილფანს და სკოლის ღირსეული წარმომწესისთვის ოქროს ფონდის წევრობის დამადასტურებელი სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

სპეციალურ საზეიმო ღონისძიებაზე, რომელსაც რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ნიგურიანი და გამგეობის თანამშრომლები, სკოლის დირექტორი,

მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ, მოსწავლეებმა ლექსები წაიკითხეს. გოჩა ტყემელაშვილს სკოლის წარმომადგენლებმა სიმბოლური საჩუქარი - ნიგნი გადასცეს. შეხვედრის ბოლოს, ინტელექტუალური ავტორმა და წამყვანმა მოსწავლეებს წარმატებები უსურვა.

დაბა მესტიის №3 სკოლის წარმომადგენლობა მაღლობას უხდის პროექტის ავტორსა და წამყვანს ასეთი გულწრფელი და უშუალო დამოკიდებულებისათვის - „სწორედ ასეთი დღეები უხალისებს, უღამაზებს ცხოვრებას და მოტივაციას უმაღლებს მომავალ თაობას.“



მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი

„ნულოვანი შიმშილი“ – მსოფლიოს გაკვეთილები გლობალური პრობლემის წინააღმდეგ

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, უკვე მესამედ, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ ჩატარდა. პროექტი, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მთელ მსოფლიოში ხორციელდება და ითვალისწინებს მოსწავლეებისთვის გაეროს მიერ შემუშავებული „მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების“ გაცნობას და გამჭოლი კომპეტენციების (ეკოლოგიური ნიშნობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება) განვითარებას. საქართველოში, 2014 წლის 15-16 სექტემბერს, ჟენევაში გამართულ მინისტრიალზე, მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების განხორციელების ვალდებულება აიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომავალი თაობების ცნობიერების ამაღლება.

„მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ მონაწილე ქვეყნებს, ყოველწლიურად, სხვადასხვა თემას სთავაზობს, რომელიც იმ საერთო თემაზე იმსჯელებს, რომლის შესახებაც, პროექტის ინიციატორების მიერ რეკომენდირებულ სასკოლო საფეხურზე, ერთდროულად ხდება მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება. რას მიეძღვნა წლებანდელი „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ და როგორ ერთვება მასში საქართველო – გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის სამსახურის უფროსი მარიკა სინარულიძე, რომელიც, ამავდროულად, საქართველოში ამ პროექტის ჩატარებას ხელმძღვანელობს.

– რა მიზანს ემსახურება „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ და რა თემას მიეძღვნა წლებანდელი ღონისძიება?

– საქართველო „მსოფლიოს მასშტაბურ გაკვეთილში“ პირველივე წელს ჩაერთო. „მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები“ – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული დოკუმენტია, რომელსაც 193 ქვეყანა აწერს ხელს, მათ შორის საქართველო – დოკუმენტი ეხება მდგრადი განვითარების 17 მიზანს (და 169 ქვემიზანს), რომლებსაც მსოფლიომ 2030 წლისთვის უნდა მიაღწიოს. აქედან გამომდინარე, შემდგომ უკვე გაეროს ქვემდებარე ორგანიზაციები (ამ შემთხვევაში გაეროს ბავშვთა ფონდი) ბრუნდებიან დოკუმენტის დანერგვაზე. უშუალოდ „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილის“ ინიციატორი კენ რობინსონია, განათლების საერთაშორისო ექსპერტი, რომელმაც მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების სკოლებში შეტანა გლობალური გაკვეთილის ჩატარების სახით შემოგვთავაზა.

პირველი წელი დაეთმო მოსწავლეებისთვის მდგრადი განვითარების მიზნების დოკუმენტის ზოგად გაცნობას. მეორე წელს, ანუ შარშან, პირველი მიზანი იმ 17-დან ერთ-ერთს, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. წლებანდელი თემა კი ე.წ. „ნულოვანი შიმშილი“ დაეთმო. წლებანდელი ღონისძიება მსოფლიოში მიმდინარეობს აღმოფხვრას მიეძღვნა და მიზანდასახვად აღნიშნული თემის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პერსონალური თუ სოციალური კომპეტენციების განვითარებას X, XI და XII კლასების მოსწავლეებში. აღსანიშნავია, რომ თემებს ჩვენ არ ვირჩევთ, მათ ის ორგანიზაცია გვთავაზობს, ვისი ინიციატივითაც ყველაზე მასშტაბური გაკვეთილი ხორციელდება და ჩვენც სწორედ მათ გვემსახურები.

აღსანიშნავია ისიც, რომ „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი“ ინგლისურ ენაზე, უცხოური ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლების თანამშრომლობით, ყველა სკოლაში ერთი და იმავე სასწავლო კვირის განმავლობაში ტარდება.

– რამდენი სკოლა ჩაერთო მასშტაბურ გაკვეთილში და რა



პროცედურების გავლა სჭირდება მონაწილეებს?

– საქართველოში „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილის“ განმახორციელებელი ორგანიზაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრია, ამიტომაც მას შემდეგ, რაც ინიციატორი მოგვმართავს, ჩვენი ორგანიზაცია აცხადებს რეგისტრაციას. ჩვენ, როგორც ორგანიზატორები, ვიღებთ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტებს: სარეკომენდაციო შინაარსს, რა ტიპის აქტივობები შეიძლება შევთავაზოთ მოსწავლეებს, ასევე, სარეკომენდაციო ასაკობრივ ზღვარს, დაახლოებით რა ასაკის მოსწავლეებთან უნდა ჩავატაროთ გაკვეთილი და შემდეგ ამის მიხედვით ვაცხადებთ გაკვეთილზე რეგისტრაციას. რეგისტრირებულ სკოლებს/მასწავლებლებს ვთავაზობთ სემინარს, ვცდილობთ დეტალურად აუხსნათ და მივანოლოთ სარეკომენდაციო ხასიათის მასალა. თუმცა, დამოუკიდებლადაც შეუძლიათ ჩაატარონ გაკვეთილი.

წელს პროექტში 30-მდე სკოლა მონაწილეობდა, საერთო ჯამში, საქართველოს მასშტაბით, 400-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო „მსოფლიოს მასშტაბურ გაკვეთილს“. თბილისის სკოლების გარდა, ჩართული არიან რეგიონის სკოლებიც, მაგალითად – შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და აჭარის სკოლები. ფაქტობრივად, მთელ საქართველოში ტარდება მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილი. სხვათა შორის, პირველ წელს, ნახალი სების მიზნით, პრიზებიც კი დავანესეთ და გამოვავლინეთ პირველი სამეული – სამი ყველაზე წარმატებული გაკვეთილი. სკოლები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს, ვინ უფრო კარგად და სრულყოფილად გააშუქებდა გლობალური მდგრადი განვითარების მიზნებს, ამ პროცესს კი სპეციალური კომისია აკვირდებოდა, სწორედ მან გამოავლინა გამარჯვებული სამეული. პირველი წლის შემდეგ, შარშანაც და წელსაც, უკვე თავისით, ძალიან აქტიურად ჩაერთვნენ სკოლები. მეტიც, ელოდებოდნენ კიდევ მსოფლიო მასშტაბური გაკვეთილის გამოცხადებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაკვეთილი ინგლისურ ენაზე უნდა ჩატარდეს, რადგან ყველა მასალა ინგლისურადაა ხელმისაწვდომი. თუმცა, თემატიკა მაინც უფრო გეოგრაფიას განეკუთვნება, არა როგორც უშუალოდ გეოგრაფიის საგანს, არამედ გამჭოლ კომპეტენციებს. სწორედ ამის გამო, ჩვენ ვაცხადებთ რეგისტრაციას გეოგრაფიისა და ინგლისურის მასწავლებლის წყვილზე, რომლებიც ერთად ამზადებენ ინტეგრირებულ გაკვეთილს. არის შემთხვევები, როცა გეოგრაფიის მასწავლებლები ფლობენ ინგლისურ ენას, მაგრამ რადგან მასწავლებელი ინგლისურად ქვეყნდება, რისკი რომ თავიდან ავიცილოთ, უმჯობესია ინგლისურის მასწავლებლებიც ჩაერთონ. შარშან გაკვეთილი ჩავატარეთ საბაზო საფეხურზე, მოსწავლეები საკმაოდ კარგად მეტყველებდნენ, წელს ღონისძიება საშუალო საფეხურისთვის იყო განკუთვნილი და წელსაც მოსწავლეებმა ინგლისური ენის ფლობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დავგავანახეს.

ერთ-ერთ სკოლაში დავესწარი კიდევ ძალიან აქტიურ გაკვეთილს: თემა იმდენად მტკივნეულია, რომ მართლაც დიდი ემოციები გამოიწვია. ჩვენ როგორც განმახორციელებლებმა, სკოლის არჩევის საშუალება გაეროს ბავშვთა ფონდს დავუთმეთ. დარეგისტრირებული სკოლების სიიდან მათ კერძო სკოლა Aia-Gess აირჩიეს. დავესწარი ძალიან საინტერესო გაკვეთილს მე-10 კლასში. ვნახეთ, თემატიკის შესაბამისად, როგორ მოიცვეს მოსწავლეებმა ყველა შესაძლებლობა, თუ როგორ შეიძლება მსოფლიოში შიმშილის აღმოფხვრა. კლასი ხუთ ჯგუფად იყო დაყოფილი, თითოეულს ჩატარებული ჰქონდა გამოკითხვები, ზოგს – სკოლაში, ზოგს – ქალაქში, ნანაილს – ინტერნეტით მოძიებული მასალები. რა ხდება მსოფლიოში ან მათ სოციალურად ამ კუთხით და რა უნდა გავაკეთოთ თითოეულმა ადამიანმა, როგორც მოქალაქემ, იმისთვის, რომ გავუფრთხილოთ საკვებს, იმ პროდუქტებს, რომელიც დიდი რაოდენობით ინარჩუნება და შემდეგ მათი ნაწილის გადაყრა გვინევს მაშინ, როცა ადამიანები შიმშილობენ; როგორ გავუზიაროთ ეს საკვები მათ, ვისაც ასე ძალიან სჭირდება და აკლია. სწორედ ამ მიმართულებით იყო მათი გაკვეთილი აგებული. მოსწავლეების მიერ ჩატარებული გამოკითხვებისა და კვლევების საფუძველზე, გაკვეთილზე მოხდა იდეების გენერირება და ხუთივე ჯგუფმა ამის შესახებ კოლაჟები წარ-



მოადგინა. გაკვეთილი ერთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, ისე როგორც ინიციატორის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაცია ითვალისწინებს. მართლაც ძალიან მრავალსიმომცველი და ემოციური გაკვეთილი იყო, ამავე დროს, ძალიან მტკივნეული. მოსწავლეებმა კარგად გაიაზრეს პრობლემა და ისიც, რომ ჩვენ მსოფლიოს ისეთივე ნაწილი ვართ, როგორც დანარჩენები. ამ პროექტის მიზანაც ხომ ეს არის, მაქსიმალურად გავაცნოთ მოსწავლეებს მდგრადი განვითარების მსოფლიო მიზნები – რას უნდა მიაღწიოს კაცობრიობამ 2030 წლისთვის, რაც, უშუალოდ, გაეროს ძალიან მნიშვნელოვანი დეკლარაციაა. ამ პროექტით გვინდა, მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ ის 17 მსხვილი მიზანი, თავისი 169 ქვემიზნით, რადგან ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ, საით მიდის მსოფლიო 2030 წლისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ეს ბავშვები არიან ხვალისთვის მოქალაქეები.

– რა ადგილი გვიჭირავს მსოფლიოს გაკვეთილის რუკაზე?

– „მსოფლიოს მასშტაბურ გაკვეთილს“ თავისი რუკა აქვს. ჩვენ, ისე როგორც სხვა დანარჩენი მონაწილე ქვეყნები, დარეგისტრირებული ვართ ამ რუკაზე; მასშტაბური გაკვეთილის დასრულების შემდეგ, ყოველწლიურად ხდება რუკაზე მონიშვნა. წელს ჩემი ხელით მოვნიშნე 400 მონაწილე ბავშვი და გადავავსე ძალიან ბევრი ფოტო და ვიდეომასალა. სასიხარულოა, რომ შარშან აქტიურად ვწინდით რუკაზე, ტრიალებდა ჩვენი ვიდეოკოლაჟები, რაც იმას ნიშნავს, რომ „მსოფლიოს მასშტაბური გაკვეთილის“ ერთ-ერთი ლიდერი ქვეყანა ვართ, რადგანაც მესამე წელი ემონაწილეობთ და აქტიურად ვწინვართ რუკაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი წელს უკვე მეხუთედ ატარებს პედაგოგთა ყოველწლიურ ეროვნულ კონფერენციას, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერშია დაგეგმილი. წელს კონფერენციის თემა სწორედ მდგრადი განვითარების გლობალური მიზნებია, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. ვნახეთ, რა ტიპის მოხსენებებს შემოგვთავაზებენ პედაგოგები და მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების სწავლების რა გამოცდილებას გავგიზიარებენ.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 4 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით, აცხადებს პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას.

ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა, სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, დაეუფლოს სასურველ პროფესიას ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებებით.

ასევე, წელს პირველად, სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების მიდგომით, განხორციელდება ოთხი ახალი საგანმანათლებლო პროგრამა (მეფუტკრე, მზარეული, სარესტორნო საქმე და სასტუმრო მომსახურება), რომლებსაც პარტნიორ დამსაქმებლებთან ერთად, წელს პირველად, განხორციელებულ თბილისის, ქობულეთისა და ბათუმის კოლეჯები.

რეგისტრაციის გავლა, პირადობის მონუმბით, შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში.

აპლიკანტებს საშუალება აქვთ, ასევე, გამოიყენონ ელექტრონული (ონლაინ) რეგისტრაციის რეჟიმიც ვებგვერდის - www.vet.emis.ge - მეშვეობით.

შეგახსენებთ, რომ რეგისტრაცია შესაძლებელია ერთი მიმართულების ქვეშ არსებულ რამდენიმე პროგრამაზე!

რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ. ტესტირების შედეგების შემდეგ, აპლიკანტებს საშუალება ექნებათ, გადახედონ რეგისტრაციისას მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს და, ერთი მიმართულების ქვეშ, შეცვალონ სასურველი პროგრამების სია, მიღებული ქულებისა და წინა წლების სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ, ასევე, ტესტების ნიმუშები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge). სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები რეგისტრაციას გადაიან ზემოაღნიშნული პროცედურის საფუძველზე, თუმცა ისინი სარგებლობენ ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით, რაც მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებასა და პროფესიის მოსინჯვას გულისხმობს.

ისევე როგორც წინა წელს, 2017 წლის საშემოდგომო მიღებაზეც, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ენობრივი ბარიერის გამო ვერ ახერხებდნენ პროფესიული განათლების მიღებას, შესაძლებლობა ექნებათ რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე გაიარონ ტესტირება. მათთვის, ქართული ენის სათანადო დონეზე სწავლებისათვის, პროფესიულ პროგრამებში ინტეგრირდა ქართული ენის მოდული.

ასევე, წელს პირველად, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია, დამატებით, სამ მუნიციპალიტეტში - სტეფანწმინდის, თიანეთისა და ლაგოდეხის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გისურვებთ წარმატებას!

ახალი პროგრამები პროფესიულ განათლებაში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე დაარსებული ტექნიკური გადამზადების ცენტრი, სახელმწიფოს მიერ 100%-ით დაფინანსებულ ახალ პროფესიულ პროგრამებზე, პირველ სტუდენტებს მიიღებს. სტუდენტები ცენტრში დაეუფლებიან თანამედროვე, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პროფესიებს, მექანიკური ინჟინერიის ტექნიკოსის, მაღალი ძაბვის ელექტრიკოსის, მექატრონიკის ტექნიკოსისა და სამრეწველო ავტომატიზაციის ტექნიკოსის მიმართულებით. ყველა პროგრამა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაშია და წარმატებული კურსდამთავრებულები,



პროფესიული განათლების დიპლომთან ერთად, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გერმანულ სერტიფიკატს მიიღებენ, რომელიც გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო პალატის მიერ აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ გაიცემა.

თეორიული კურსის პარალელურად, სტუდენტები, უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო ლაბორატორიებში, პრაქტიკულ უნარებს დაეუფლებიან და სასწავლო პრაქტიკას საქართველოს ბაზარზე მოქმედ ნამყვან კომპანიებში გაივლიან. სწავლების პროცესი მორგებული იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მოთხოვნებზეც. ტექნიკური გადამზადების ცენტრის კურსდამთავრებულები წარმატებით დასაქმდებიან ენერჯეტიკის და კომუნიკაციის სფეროში, მანქანათმშენებლობის სექტორში, მსუბუქ და კვების მრეწველობაში და სხვ.

ტექნიკური გადამზადების ცენტრის რეკონსტრუქცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ხოლო თანამედროვე გერმანული ლაბორატორიებით აღჭურვა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის დაფინანსებით, BP საქართველოსთან თანამშრომლობით განხორციელდა.

ახალი პროფესიული პროგრამების პრეზენტაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა მოეწყო, რომელსაც მონაწილე სტუმრებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი ესწრებოდა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აქტუალობასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივებზე.

ქეთევან ნატრიაშვილი: „სწორედ ამგვარი პროცესები უწყობს ხელს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ეს სიახლე ძალიან საინტერესო იქნება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე კერძო სექტორისათვის, იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. მინდა ყველას შევახსენო, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს რეგისტრაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაიარონ რეგისტრაცია 15-მდე პროგრამაზე და მათ შორის იმ 4 პროგრამაზე, რომელიც სწორედ ამ თანამშრომლობის ფარგლებშია შემუშავებული.“

რეგისტრაცია 15 ოქტომბრის ჩათვლით გაგრძელდება. მინდა ყველას მოვუწოდო, გამოცხადდნენ რესურსცენტრებში და გაიარონ რეგისტრაცია იმისათვის, რომ დაეუფლონ სასურველ პროფესიას და აკეთონ მათთვის სასურველი საქმე.“

მაგდა მალრადი, „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი: „ეს პროგრამები დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის მიერ, ჯამში, 12 მილიონი ამერიკული დოლარის გრანტით. დღეს ახალ პროგრამებს ვაცხადებთ. დღევანდელი ღონისძიება კომპანია BP-სთან თანამშრომლობითაა ორგანიზებული. BP და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გაერთიანდა იმისათვის, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი 4 ახალი პროგრამა გამოეცხადებინა. აღნიშნულ პროგრამებს ასწავლიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სპეციალისტები. სრულად აღიჭურვა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ლაბორატორიები, სადაც სწავლა-სწავლების პროცესი წარმართება.“

არჩილ ფრანგიშვილი, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი: „პროგრამა აწყობილია გერმანულ სისტემაზე, გერმანულ მეთოდოლოგიაზე. ჩვენ ამაში გვეხმარება მსოფლიოში ცნობილი კორპორაცია, მათ გადაამზადეს ჩვენი მასწავლებლები თანამედროვე გერმანული მეთოდოლოგიით. მნიშვნელოვანია, რომ გარდა იმ სტანდარტული დიპლომისა, რომელსაც მიიღებენ სტუდენტები ამ პროგრამის დასრულების შემდეგ, წარჩინებულ სტუდენტებს გერმანული სერტიფიკატებიც გადაეცემათ.“

ქართული ექსპერტები საერთაშორისო შეჯიბრის მონაწილეებს შეაფასებენ

14 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით, ქალაქ აბუ-დაბიში, პროფესიული უნარების (Worldskills) 44-ე საერთაშორისო შეჯიბრი გაიმართება, რომელშიც საქართველო უკვე მესამედ მონაწილეობს და საკუთარ წარმომადგენლებს შვიდ

პროფესიაში წარადგენს. გამგზავრებამდე, Worldskills Georgia-ს გუნდის წევრებმა და მათმა პედაგოგებმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დახმარებით, ხანგრძლივი მომზადების ეტაპი და სატრენინგო მოდული გაიარეს. შედეგად, მათი პროფესიონალიზმი, Worldskills-ის ორგანიზატორების მხრიდან, უმაღლესი ქულებით შეფასდა, რაც Worldskills-ის ბაზაშიც აისახა.

Worldskills Georgia-ს გუნდის წევრებს და მათ პედაგოგებს ცენტრის დირექტორი თამარ სანიკიძე შეხვდა და, Worldskills Access Programme-ის წარმატების დაძლევისთვის, პედაგოგებს სპეციალური სერტიფიკატები გადასცა, რითაც მათ საერთაშორისო ექსპერტების სტატუსი მიენიჭათ. ამ დოკუმენტით, პედაგოგებს, გარდა იმისა, რომ მათ მონაწილე გუნდის წევრები მოამზადეს, მიეცათ შესაძლებლობა, შეჯიბრის მონაწილე 80-მდე ქვეყნის წარმომადგენელი შეაფასონ.

WorldSkills Georgia საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანია: საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და ინტერნაციონალიზაცია. 2012 წლიდან, საქართველო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სახელით, WorldSkills International-ის წევრია და ყოველწლიურად იხდის საწევრო გადასახადს. ამ ეტაპზე, WorldSkills International აერთიანებს 77 ქვეყანას. WorldSkills-ის ფართომასშტაბიანი შეჯიბრებები პროფესიულ უნარებში, ორ წელიწადში ერთხელ, რომელიც წევრ ქვეყანაში ტარდება. შეჯიბრება ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობს. მონაწილეთა ასაკი შეზღუდულია 22 წლამდე. პროფესიული უნარების წარმომჩენისა და განვითარებისთვის WorldSkills შესანიშნავი პლატფორმაა.



თამარ სანიკიძე: „ვემზადებით პროფესიული უნარების მსოფლიო შეჯიბრისთვის. ჩვენ ვიასპარეზებთ სხვა ქვეყნებთან ერთად, დაახლოებით, 80-მდე ქვეყანა იქნება წარმოდგენილი. ეს შეჯიბრი არაჩვეულებრივი საშუალებაა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და ახალგაზრდების აღჭურვის ახალი, ძალიან მნიშვნელოვანი უნარებით, რომლებიც პროფესიულ განვითარებას თავისთავად ძალიან სჭირდება.“

დღეს ჩვენ გადავეცით სერტიფიკატები ინსტრუქტორებს, რომლებმაც WorldSkills International-ის მიერ დადგენილი ყველა ტრენინგი წარმატებით დაასრულეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ შეჯიბრში, უკვე როგორც შემფასებლებმა და შეაფასონ ყველა ქვეყნის კონკურსანტების შედეგები. წარმატება მინდა ვუსურვო მათ, ასევე ჩვენს მონაწილეებს, რომლებიც წლებიდან შეჯიბრში 7 პროფესიის წარმომადგენენ.“

ილია საგანელიძე, სარესტორნო საქმის ექსპერტი: „ჩვენ ამ ღონისძიებაზე წარმომადგენელ სარესტორნო საქმეს. უკვე მეორედ ვმონაწილეობ, 2015-ში ბრაზილიაში, სან-პაულოში გამართულ შეჯიბრებაში მივიღეთ მონაწილეობა და კარგი შედეგებით დავებრუნდით. წელს უფრო მეტის იმედი გვაქვს რეალურად, იმიტომ, რომ გადაამზადება კარგად ჩატარდა, სახელმწიფოს ხელშეწყობით. ეს ღონისძიება, კონკრეტულად, ჩვენი სფეროსთვის და, ზოგადად, პროფესიული განათლებისთვის ძალიან წარმატებული იქნება, რადგან იქ მიღებულ გამოცდილებას მონაწილეები თავიანთ კოლეგებს გაუზიარებენ.“

სპორტი

მასწავლებელთა სპორტული კვირეული

დასრულდა სპორტის კვირეული პედაგოგთათვის, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეჯიბრებები მინი-ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთში, ფრენბურთსა და ნარდში. ამათგან ნარდსა და მაგიდის ჩოგბურთში ქალები და ვაჟები ცალ-ცალკე ასპარეზობდნენ, დანარჩენ სახეობებში კი შერეული გუნდებით გამოდიოდნენ, თუმცა ორგანიზატორებს გეგმები „კომაროვის სკოლამ“ (199-ე საჯარო სკოლა) აურია, რომელიც ფეხბურთშიც კი ქალთა გუნდით წარსდგა. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ძლიერ სქესს“ ტოლი არაფერში დაუდეს, ხოლო მათმა პედაგოგმა მაია ოთიაშვილმა თავი ორმაგად გამოიჩინა: კვირეულზე ნარდში ქალთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა, ორ დღეში კი „თბილისობაზეც“ იასპარეზა ამავე სახეობაში და ფინალშიც გავიდა!

აღსანიშნავია, რომ სპორტული კვირეული არ იყო განკუთვნილი მხოლოდ სპორტის პედაგოგებისთვის. პირიქით, მისი მიზანი იყო სხვადასხვა საგნების მასწავლებელთა ჩართვა სპორტში, მათი მოტივაცია და სპორტის პოპულარიზაცია. სასიამოვნოა, რომ ღონისძიებაში დედაქალაქის 120-ზე მეტი სკოლა ჩაერთო, სპორტულ შეჯიბრებებს კი 21-ე, 53-ე და 120-ე საჯარო სკოლებმა უმასპინძლეს, ხოლო ფინალური ეტაპი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა.

კვირეულს რამდენიმე ორგანიზატორ-მეცენატი ჰყავდა: საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო, სპორტის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების კავშირი, სპორტკლუბი „მორკინალი-2011“, საქართველოს ხელბურთის, ნარდისა და მფრინავი დისკის ეროვნული ფედერაციები, ნატურალური წვენიებისა და ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „Vitamin vel“.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კვირეული ჩატარდა მხოლოდ თბილისის მასშტაბით, თუმცა სამომავლოდ განზრახულია მისი განვრცობა თელ ქვეყანაზე. ის რაიონული პრინციპით გაიმართა ანუ ცალკეული სკოლების ნაცვლად, ერთმანეთს რაიონების ნაკრები გუნდები ეჯიბრებოდნენ, ბოლოს კი სახეობების საერთო დათვლის პრინციპით გამოვლინდნენ გამარჯვებული რაიონები. ქვემოთ გთავაზობთ მათ ვინაობას, მანამდე კი გეტყვით, რომ საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გლდანი-ნაძალადევის რაიონი გახდა,



რომლის რესურსცენტრის ხელმძღვანელ ხათუნა ლოდის გადაეცა გარდამავალი თასი (რაკი განზრახულია ანალოგიური კვირეულის ყოველწლიურად ჩატარება, ამიტომ თასიც გარდამავალია დანესებული), მეორეზე ვაკე-საბურთალოს რაიონი გავიდა, მესამეზე კი - ისან-სამგორის, ხოლო მომდევნო ადგილებზე - დიდუბე-ჩუღურეთი და მთაწმინდა-კრწანისი გავიდნენ.

მინი-ფეხბურთი
1. ნაძალადევი; 2. საბურთალო; 3. გლდანი, ჩუღურეთი

ფრენბურთი
1. სამგორი; 2. გლდანი; 3. ვაკე, საბურთალო

ხელბურთი
1. საბურთალო; 2. ნაძალადევი, გლდანი

მაგიდის ჩოგბურთი
ქალები
1. ნანული გოზალიშვილი - №150

2. მზევინარ თავდგირიძე - №207
3. თამარ ზედგენიძე - სკოლა-ლიცეუმი „მნიგნობართუხუცესი“ ვაჟები
1. ილია სიმონიანი - ბრიტანულ-ქართული აკადემია
2. ირაკლი მენტეშაშვილი - №2
3. გიორგი კალანდაძე - №207

ნარდი
ქალები
1. მაია ოთიაშვილი - №199
2. ლია ჩიტიშვილი - №209
3. ინგა ჩიტიშვილი - №43, თამარ გოგატიშვილი - №114

ვაჟები
1. კახა ნიკოლაძე - №84
2. გაიოზ ყაჭვიშვილი - №14
3. გიორგი ლაცაბიძე - №51, ილია ვაშაკიძე - №22

ქალოსნები ჭაბუკების ყორალოგენ

საქართველოს ჭაბუკთა 15 და 17-წლამდელ ქალოსნთა გუნდები დიდი წარმატებით გამოვიდნენ კოსოვოს დედაქალაქ პრიშტინაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში, სადაც, ჯამში, 8 მედალი მოიპოვეს. არადა, პოლიტიკური მოტივების გავლენით, თითქოს კოსოვოში წასვლას ზოგი დაუშვებლად მიიჩნევდა, მაგრამ, საბოლოოდ, სპორტმა სძლია პოლიტიკას, შედეგად კი ქართულმა ქალოსნობამ, ქართულმა სპორტმა მორიგი ბრწყინვალე წარმატება მიითვალა.

ამ შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართულ ქალოსნობას ნამდვილად კარგი დროება უდგას, ძნელბედობის დრო დასრულდა და ახლა დღითი დღე იზრდება წარმატებები.

პრიშტინაში ჩვენი გუნდის მონაგარი ასეთია: 2 ოქრო - ორჭიდაობა, ცალკეულ მოძრაობებში მოპოვებული 2-2 ოქრო, 3 - ბრინჯაო, გუნდური მეორე ადგილი და საუკეთესო სპორტსმენის ნობედა. ევროპის ჩემპიონები კონტინენტის შარშანდელი ვერცხლის მედალოსანი, ქუთაისელი გურამ გიორბელიძე (62) და თბილისელი ლაშა თაქთაქიშვილი (94) გახდნენ, რომლებმაც ცალკეულ მოძრაობებშიც მოიპოვეს მედლები. ამასთან, სწორედ გიორბელიძე დაასახელეს ჩემპიონატის საუკეთესო სპორტსმენად. ატაცში მცირე ბრინჯაოს მედლებს ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი არჩილ მალაყმაძე (69) ბათუმიდან და ხაშურელი თორნიკე ტაბატაძე (+94) დაეუფლნენ.

პრიშტინაში განსაკუთრებული წარმატებით გამოვიდა ლაშა თაქთაქიშვილი, მაქსიმუმი გააკეთა და 3 ოქრო დაიმსახურა - აკერაში, ატაცში და საერთო ჩათვლაში. ცალკეულ მოძრაობებში მან სამივე ცდა გამოიყენა და ატაცში 117 კილოგრამით გაიმარჯვა (110, 115, 117), ხოლო აკერაში 145-ით (135, 140, 145) დაასრულა გამოსვლა, რაც ასევე საუკეთესო შედეგი იყო ამ მოძრაობაში. ამ ყველაფერმა მას საერთო ჩათვლაშიც დიდი წარმატება მოუტანა - 262 ქულით ჩემპიონი გახდა და მთელი 20 კილოგრამით (!) ჩამოიტოვა მეორეზე გა-



სული თურქი ოსმან ორპანი, ვინც 242 კილოგრამით დაასრულა გამოსვლა.
პრიშტინაში გურამ გიორბელიძემაც 3 მედალი მოიპოვა, თუმცა, იმათგან 1 ვერცხლია, ოქრო კი - 2. უნაკლო შედეგამდე სულ ცოტა დააკლდა, რადგან ატაცში ოქრო მხოლოდ იმის გამო დაკარგა, მასავეთ 108-კილოგრამიანი თურქი გუნგორ გონერი უფრო ადრე რომ გავიდა ფიცარნაგზე, ახალი ნესებით კი, თანაბარი ქულების შემთხვევაში, უკვე უპირატესობა ამ ფაქტორს ენიჭება და არა პირად წონას.
გიორბელიძემ ატაცში გამოსვლა 101 კილოგრამით დაიწყო, მერე კი შტანგა ჯერ 105 კილოგრამამდე დაამძიმა და,

წარმატებით ატაცების შემდეგ, სიმძიმე კიდევ 3 კილოგრამით გაზარდა. ამ წონასაც წარმატებით გაუმკლავდა, მაგრამ, როგორც გითხარით, ახალი ნესებით, ვერცხლის მედალს დასჯერდა. სამაგიეროდ, დანაკარგი აკვრამი აინაზღაურა, სამივე ცდა წარმატებით გამოიყენა და 136 კილოგრამით (129, 131, 136) მცირე ოქროს მედალს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ მწვრთნელებმაც კარგად გათვალეს ტაქტიკა, რამაც საბოლოო წარმატებაც მოიტანა: გიორბელიძემ ორჭიდაობაში 244 კილოგრამი დააგროვა (108+136), რითაც მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა - უახლოეს მდევარს 9 ქულით გაუსწრო და ევროპის ჩემპიონობაც დამსახურებულად იხვეია.



ურეპიონო წარმატება

ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გამართულ ჭაბუკ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები, რომელმაც 3 მედალი მოიპოვა: 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები ლუკა კუბლაშვილი (46) და ბაკურ ჩიქოვანი (57) გახდნენ, მესამეზე მამუკა აბულაძე (52) გავიდა. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ვერც ერთმა ჩვენებურმა ვერ შეძლო ფინალში გამარჯვება და ოქროს მედალის გარეშე დავრჩით - კუბლაშვილი ბულგარელ ერგი-

ნალ სებასტიანთან დამარცხდა, ჩიქოვანმა კი ვადამწყვეტი პაექრობა რუს უსმან მაგამედოვთან დათმო.
მინიმუმ, ფინალში გასვლა შეეძლო აბულაძესაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ნახევარფინალური პაექრობა რუს ბორის კარიბიანთან, მსაჯების არაობიექტურობის გამო, დათმო და საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა.

